ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

ГАЗЕТА ОСНОВАНА 1920 ГОДА

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 181 (19922) პარასკევი, 7 აგვისტო, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ალოობის რიტმი

მოსავლის ალებისას დაყოვნება არ შეიძლება

ПРАВДА

5 აგვისტოს მოწინავე

გარდაქმნა საქმეებით იზომება

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა მოსკოვის ოლქის სოფლის მუშაკებთან

5 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ეწვია მოსკოვის ოლქის აგროსამრეწველო კომბინატს „რამენსკის“. 18-მ კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, ხორაკომბინატმა, რძის ქარხანამ, კვების კომბინატმა, სამშენებლო ტრესტმა — სულ რაიონის 53 საწარმომ ერთიან კომპლექსად გაერთიანა ძალები და რესურსები ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სოციალური ამოცანის შესასრულებლად, რომლის პრიორიტეტი ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა. როგორ წყდება დღეს პრაქტიკულად პროდუქტებით ქვეყნის მომარაგების ამოცანა, რა კეთდება სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის — ეს თემა გახდა მთავარი სოფლის მშრომელებთან მ. ს. გორბაჩოვის საუბრების დროს.

პირველი გაჩერება და საქმიანი სიტყვა-ბაასი ხალხთან ცენტრალურ კარ-მიდამოსთან კი არა, პირდაპირ მინდორში გაიმართა, სადაც საადრეო კარტოფილს იღებენ. ეს კულტურა — ელიტური თესლის გამოყენებიდან კარტოფილის აღებამდე — აქ ინტენსიური ტექნოლოგიით მოჰყავთ. და პროდუქციის რეალიზაციის სისტემაშიც კი რამენსკელები პიონერები გახდნენ — მათ დადეს და ზუსტად ასრულებენ პირდაპირ ხელშეკრულებებს სავაჭრო ორგანიზაციებთან, კარტოფილს ყიდიან გადმოუცლელად — ახალს, რომელსაც ჯერ კიდევ მოსკოვის ოლქის მიწის სურნელი ასდის...

რაიონის მოწინავე მეკარტოფილეები შროშბინენ საბჭოთა მეურნეობა „ზავოროვოში“. აქ საიმედო კარტოფილი მოჰყავს ინტენსიური შრომის რგოლს, რომელსაც ნ. პ. ბაბარიკინი ხელმძღვანელობს. სულ კი რგოლში ოთხი წევრია — ნიკოლოზ პავლეს ძის ორი ვაჟი — ვიაჩესლავი და ალექსანდრე, და ვიქტორ ივანეს ძე ბუკინი თავის ვაჟთან ვიქტორთან ერთად. ამ ერთსულოვანმა ხუთეულმა კი საბჭოთა მეურნეობას მარშან მილიონი მანეთი მოგება მოუტანა.

— გამარჯობათ, გვარდიელებო, — მიეალმა მიხეილ სერგის ძე მექანიზატორებს, — ქვეყანაში ცნობილი „ზავოროვის“ ტექნოლოგიის ავტორებს. — საკითხავი ბევრი რამ მაქვს, მაგრამ უბრალო, ჩვეულებრივი კითხვით დავიწყებ. როგორ გუნებაზე ხართ?

— კარგ, საქმიან გუნებაზე.

მ. ს. გორბაჩოვი: ხედავთ, იგივე პასუხი მესმის: კარგად, ნორმალურად, ჩინებულად. პრობლემები მუდამ არის. ახლაც ბევრი გვაქვს. ისინი რომ არ გექონდეს, დიდ საქმეებს არ წამოიწყებდით. მაგრამ მაინც საუბარი მინდა დავიწყო ადამიანთა ყოფა-ცხოვრებით, მოწყობით: თქვენი დაბა ძველია თუ თანამედროვე?

ვ. ბაბარიკინი: ძველი იყო, ახლა თანამედროვეა, კეთილმოწყობილი და სამაღლეში მიიწევს.

მ. ს. გორბაჩოვი: ახალგაზრდებს კი მოსწონთ მაღლივი სახლები?

ა. ბაბარიკინი: რა თქმა უნდა, გვინდა ისეთი ბინა მივიღოთ, სადაც იქნება გაზი, ცხელი წყალი.

მ. ს. გორბაჩოვი: კარ-მიდამო კი, როგორც ჩანს, კაცს მაშინ იტაცებს, როცა ხანი ემატება? ალბათ, ჯერ ახალგაზრდობას უნდა ბინის მიღება, კეთილმოწყობა, მაგრამ დაოჯახების, შვილების გაჩენის დრო დგება, და შეხედულება ყოფა-ცხოვრებაზე ეცვლება? მოსკოვის ოლქში მიწები ცოტაა: ხელს ხომ არ უშლით ხალხს თვითონ აიშენოს ეკონომიის მოსაზრებით?

ნ. პ. პროხორიხინი, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი: არა, წლითიწლობით სულ უფრო მეტ საკარმიდამო ტიპის სახლს ვაშენებთ. წელიწადში 85 სახლს სოფლების მცხოვრებნი თვითონ აშენებენ.

მ. ს. გორბაჩოვი: როცა მიწის ნაკლებობას იმიზეზებენ, მოსკოველებს, მაგალითად, ამ საკითხში შეიძლება გაუგო. რაც შეეხება სხვა ადგილებს, ჩვენ ასეთი თვალსაზრისი გვაქვს: ნუ გაგიბიკცებს მაღლივი მშენებლობა სოფლად. სახლი ადამიანის სიცოცხლე, ხასიათია. იმასაც კი ვფიქრობთ, რომ გავზარდოთ კრედიტის დაფარვის ვადა, ამით განვამტკიცოთ სოფლის ოჯახების ბიუჯეტი.

მიხეილ სერგის ძემ ჰკითხა მექანიზატორებს, როგორ თბება სახლები, ყველა უზრუნველყოფილია თუ არა სკოლით. მათ უპასუხეს, რომ დაბაში არის ცენტრალური საქვაბე, გაჰყავთ გაზსადენი, ბავშვებს კარგი სკოლა აქვთ, არის საბავშვო ბაღი, კლუბი, სავაჭრო ცენტრი, ხალხი კმაყოფილია.

მ. ს. გორბაჩოვი. ჩვენ მთლად კმაყოფილი არა ვართ. მოდის წერილები პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მთავრობაში, იწერებიან, რომ არ ჰყოფნით, მაგალითად, შაქარი, არის შეფერხებები. ალბათ, თქვენთანაც ასეთივე სურათია? ან რას გეტყვით, დაე ეს კორესპონდენტებმა თეელ ქვეყანას ამცნონ. ჩვენ ახლა უკვე თიმქმის 45 კილოგრამ შაქარს ვხმარობთ ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში. როგორც მედიკოსებს მიაჩნიათ, ნორმა 35 კილოგრამია. მაშასადამე, ათ კილოგრამ შაქარს ნორმის გადაჭარბებით ვჭამთ. და როცა ამბობენ, შაქარი არ არისო, შეიძლება კაცმა იფიქროს, იგი მართლაც გვაკლია. მაგრამ თქვენ ხომ იცით, შეფერხებების მიზეზი რაც არის.

მოდით, პატიოსნად ვკითხოთ ერთმანეთს: განა დრო არ არის ბოლო მოვუღოთ არყის შინ გამოხდას? გავამაცრეთ ზომები არყის გამოხდილებისადმი, მაგრამ, თუ საჭირო იქნება, კიდევ უფრო გავამკაცრებთ. ისინი, ვინც დოვლათსაც ანადგურებს, თანაც, რაც მთავარია, ხალხს ალოთებს, იცით, სად უნდა ცხოვრობდნენ, — დიახ ზაპარების ხანაში!... (სიცილი). ნახეთ, რამდენი კარგი რამ მოხდა, როცა ყმლში ვწვდით ამ საშინელ უბედურებას — ლოთობას. ასაათასობით კაცს სიცოცხლე შეეშველა ჩუნთ, იყო ტრავმატიზმი, ნაყოფიერება იზრდება, მეტია წესრიგი. განა შეიძლება უარი ვთქვათ ამ გზაზე?

ბაბარიკინის რგოლში მშრალი კანონის შემოღება საჭირო არ არის, ამ ღონიერი არტელის სულისკვეთებაა შექმნილი, მუშური სინდისის კანონით ცხოვრობს. უკვე ხუთი წელია რგოლი ინტენსიური ტექნოლოგიით მუშაობს, 270 ჰექტარ მიწას უვლის.

მ. ს. გორბაჩოვი: ვხედავ, გამოცდილება კარგი გაქვთ. იგორეინთ თუ არა თავი საქმის. ნამდვილ ბატონ-პატრონებად?

ნ. პ. ბაბარიკინი: რა თქმა უნდა, მიხეილ სერგის ძეგ. თუ წინათ, ხშირად სხვა სამუშაოზე გადავყავდით ხოლმე, ახლა, სანამ სათესელი კარტოფილს არ ავიღებთ, ხელს ვერავინ გვახლებს.

მ. ს. გორბაჩოვი: მართალია, თქვენ პასუხსაგები საქმე გაქვთ დავალებული. თუ კარგი თესლი არ იქნება, კარტოფილის საქმე ცუდად წავა. მთლიანად იღებთ, რასაც გამოიმუშავებთ? ყველაფერი, რაც გამომუშავებულია, შეზომილმა უნდა მიიღოს, უნდა მიეცეთ, ის კი აღარ ვარგა, როცა ზოგ-ზოგები ცდილობენ წარმოებული პროდუქტის მიხედვით კი არა, მუქთად, უშრომელად მიიგდონ ხელში დოვლათი.

რა მოხდება, კიდევ უფრო რომ გავაფართოოთ იჯარა, ესე იგი გადმოგცეთ იჯარით მიწაც და ძირითადი ფონდებიც? მიწაც თქვენი იყოს და ტექნიკაც. ახლა კარტოფილზე მუშაობთ, მერე სიმინდის თოხნაც დაიწყება, მერე ბალახს მოთიბავთ. არსი ის არის, რომ თქვენთვის გამოყოფილი მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონები იყოთ.

საბარი შეეხო კარტოფილის მოვლა-მოყვანის ინტენსიურ ტექნოლოგიას, სამარჯვებსა და იარაღს, რომლებიც საბჭოთა მეურნეობის სამეცნიერო სექტორთან თანამგზრობით მზადდება, სადაც ოთხი მეცნიერებათა კანდიდატი შრომობს. მერგოლურმა თქვა, თუ როგორ ახერხებენ სათესლე მასალის დაზოგვას, სასუქების უფრო ეფექტიან გამოყენებას, ნიადაგის დამუშავების ტექნიკის სრულყოფას. ამის შედეგად სათესლე კარტოფილის მოსავალი აქ ერთიორად მეტია, ვიდრე საშუალოდ ოლქში, თითქმის ორჯერ ნაკლებია სასუქების ხარჯვა ბაზაური თესვის დროს შეწყვეტილი კვლითა და 140-სანტიმეტრიანი მწკრივთშორისებით.

მ. ს. გორბაჩოვი: ვხედავ, ახლა ყველაფერს ანგარიშობთ. ახლა თქვენ აგრონომებიც ხართ, ეკონომისტებიც და მექანიზატორებიც. ასეც უნდა იყოს.

სათხნი კულტურების მოვლა-მოყვანის ბაზიური ტექნოლოგია, რომელიც აქ ესტონელი აგრონომებისაგან გადაიღეს, მოსკოვის ოლქის მერყეკი ამინდისათვის ძალიან ეფექტიანი გამოდგა. წელს, თქვა საბჭოთა მეურნეობის სათხნი კულტურების საამქროს უფროსმა ვ. ნ. აკატიევმა, დაგვიანებული გაზაფხულისა და წვიმიანი ზაფხულის პირობებში, ძველი, უბაზოო ტექნოლოგიის დროს უკარტოფილოდ დავრჩებოდით.

დღეს კი კარტოფილი სრულწონიანია და, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, სუფთა მდის ყოველდღიურად მოსკოვის ოლქისა და დედაქალაქის მაღაზიებში. პირდაპირ ხნულით მიაშურა მ. ს. გორბაჩოვმა კომბაინს, რომელიც კარტოფილს იღებს. კომბაინს მიჰყვებიან ქალები, რომლებიც აგროვებენ კარტოფილს, რომელსაც მანქანა ვერ იღებს. კომბაინერმა რამდენიმე წუთით გამორთო ძრავა.

მიმართა რა ქალებს, მიხეილ სერგის ძემ თქვა:

თქვენთან განსაკუთრებული საუბარი მექნება: როცა მამაკაცებს უსმენ, ცხოვრებაზე ბევრს ვერაფერს შეიტყობ. თქვენ ხომ მეტი საზრუნავი გაქვთ.

იწყება გულახდილი და საფუძვლიანი საუბარი სოფლად ცხოვრებაზე, ქალის საოჯახო საქმეებზე. მიხეილ სერგის ძემ გამოიკითხა, რჩებათ თუ არა დრო საკარმიდამო ნაკვეთში მუშაობისათვის, რა უჯდებათ ნისიად აშენებული კოტეჯები? საბჭოთა მეურნეობის ბევრ მუშას ჰყავს თუ არა ძროხა, ღორი, ფრინველი? ხომ არ უჭირთ მათი საკვების შოვნა?

დიახ, სამწუხაროდ, მუშაკთა დიდი უმრავლესობა რძეს ჯერ კიდევ მაღაზიაში ყიდულობს, ხოლო პალტოსა თუ კაბას საბჭოთა მეურნეობაში კი არა, დედაქალაქში იყიდავს.

მ. ს. გორბაჩოვი: ნუთუ მეურნეობის ხელმძღვანელს პატარა სახლის გამოყოფა არ შეუძლია ატელიესათვის? როცა ამ კითხვებს სვამთ, აქ ზებუნებრივი არაფერია. ეს ხომ ჩიტის რძე არ არის, ეს ხომ ელემენტარული რამეა: სად შეაკეთო სახლი, სად შეიძინო საშენი მასალები? ეს ცხოვრებაა, სათბობი სად იყიდო? საბჭოები უნდა მუშობდნენ ამაზე. ისინი გადაეჩვევნენ მუშაობას, ბევრი მათგანი პარტიულ ორგანოებს მისჩანჩალებს კვალდაკვალ, პარტიული ორგანოები ხშირად სხვა საქმეს არიან გადაყოლილი და სხვებსაც — სამეურნეო მუშაკებსაც აჩვევენ იმას, რომ არ აკეთონ თავიანთი საქმე. ამისათვის ყველას მკაცრად უნდა მოვკითხოთ.

მ. ს. გორბაჩოვს გულითადად მიესალმებიან კოლმეურნეობა „ბორეცის“ ცენტრალური კარ-მიდამოს მცხოვრებნი. მაშინვე გულახდილი საუბარი იწყება.

მ. ს. გორბაჩოვი: ვხედავ, კარგი დაბა გაქვთ. მოვლილი ეზოები, კოხტა სახლები. მომწონს. როცა კაცი სახლისათვის ზრუნავს, იგი მუშაობაშიც გულისყურიანია, ხოლო, როცა შინ უწესრიგობაა, სამუშაოზეც ვერ არის ყველაფერი რიგზე. თქვენს მეურნეობას დიდი ხანია ვიცნობ. მუშაობა შეგიძლიათ. მთელ ქვეყანაში იცნობენ ჯიშთსანაშენე „ბორეცს“. ასე რომ, გმადლობთ, საქმეებისათვის. ისიც კარგია, რომ საქმეებით ცხოვრობთ. ასეც უნდა იყოს. ვინც გამრჯეა და ბევრს აკეთებს, კარგადაც უნდა ცხოვრობდეს. ცუდი ის არის, როცა ხედავ, რომ კაცს სამუშაოს ვერ გააკარებ, დიდი ფუფუნების პრეტენზიები კი აქვს. მაშინ დგება კითხვა: ასეთ ადამიანში უნდა გავერკვეთ. ხალხი ყოველთვის უფრო ხედავს, ვინ მოსწყდა კოლექტივს, საზოგადოებას.

მოსკოვის ოლქში ახლა ბევრი კარგი მეურნეობაა. იგი ძალას იკრებს, მოუმატა რძის წარმოებას. მთავარი მაჩვენებლები სწორედ ეს არის — კარტოფილი და რძე. მაგრამ მეტად უნდა ვზრუნავდეთ მომსახურების სფეროს, ბუნების ქსელის, საყოფაცხოვრებო დაწესებულებების განვითარებისათვის, რადგან მოსკოვის ოლქი ამ მხრივ მთლიანად რუსეთის საშუალო მაჩვენებლებსაც კი ჩამორჩება. დედაქალაქის ოლქს ბევრი პრობლემა აქვს. ახლა მზადდება გადაწყვეტილება იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოს ოლქს, განსაკუთრებით, მშენებლობაში, და მომავალ ხუთწლედში უნდა წამოიწიოთ მოსკოვის ოლქი.

ხმა: მიხეილ სერგის ძეგ! ჩვენთან ყველა გარდაქმნის მომხრეა.

მ. ს. გორბაჩოვი: დიახ, ვხედავ. ვხედავ თქვენს საქმეებს. ახლა ასეც უნდა იყოს. ნაკლებად უნდა ვილაპარაკოთ გარდაქმნაზე და მეტი ვაკეთოთ მისთვის. ეს არის ახლა უმთავრესი.

მ. ს. გორბაჩოვი: მეტი წესრიგია საჭირო, ერთმანეთის მეტი პატივისცემა. მეტი კეთილსინდისიერება, პატიოსნება. ნამუსიანად უნდა ვიცხოვროთ. კარგია, რომ თქვენ ეს გესმით. გონებითა და გულით აღიქვამთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. არის პოლიტიკა, არის მთავრობა, რომელიც იბრძვის ამ პოლიტიკისათვის. არის ხალხი, რომელიც იწონებს ამ პოლიტიკას. ეს არის უმთავრესი, ამხანაგებო. დანარჩენი ყველაფერი ისე გადაიხარშება, როგორც ქვაბში. გადაიხარშება, გადადნება, და გარდაქმნა გაძლიერდება, შედეგიც კარგი გვქონება.

ხმა: მთავარი, მიხეილ სერგის ძეგ, მშვიდობისათვის ბრძოლაა.

მ. ს. გორბაჩოვი: გრძნობთ, რომ ჩვენ აქაც ბევრ რამეს ვაკეთებთ?

ხმა: დიახ, ვხედავთ, კარგად ვიცით.

მ. ს. გორბაჩოვი: მართლ ჩვენს ხალხს როდი ესმის, რომ უნდა შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, შევინარჩუნოთ მშვიდობა. ეს ესმის ყველა ქვეყნის ხალხებს, მშრომელებს. კაპიტალისტურ თუ განვითარებად ქვეყნებში, — ეს ყველგან ესმით. ეს სწორედ ის ბაზაა, რომელსაც ეფუძნება ჩვენი პოლიტიკა — იგი ემსახურება საკუთარ და ყველა სხვა ხალხის, მათ შორის ამერიკელი ხალხის ინტერესებს. დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობას შევინარჩუნებთ.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა დათვალიერა კოლმეურნეობა „ბორეცის“ შრომითი დიდების მუზეუმი, შეხვდა 1931 წელს დაარსებული მეურნეობის ვეტერანებს.

მ. ს. გორბაჩოვმა კოლმეურნეობის ვეტერანს, ფიდინარ ალექსანდრეს ასულ ბოლოტინას, ერთ-ერთ ომის მონაწილეს ა. პ. უსკოვას ჰკითხა:

— როგორ ცხოვრობს, რას ფიქრობს თქვენი სახელოვანი თანამებრძოლი?

ა. პ. უსკოვა: გვინდა ვიმუშაოთ შეძლებისდაგვარად, მხოლოდ წელს გავედი პენსიაზე, ისეთი ცხოვრება დადგა, რომ არ გინდა სხვებს ჩამორჩე.

მ. ს. გორბაჩოვი: ჩვენი ვეტერანები სწორედ ამით — პატრიოტიზმით, კეთილსინდისიერებით არიან ძლიერნი. ახალგაზრდობამ უნდა ინოდეს ეს.

ხმები: ჩვენთან იცოდნ!

მ. ს. გორბაჩოვი გულითადად ესალმება კოლმეურნეობის პირველ კომუნისტს პ. პ. ზვერევს. იგი პარტიაში შევიდა 1939 წელს, 18 წლისა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი იყო. პოლინა ზვერევა მადლობას უხდის პარტიას საბჭოთა ადამიანებისათვის, სოფლ ი ს მშრომელებისათვის მშვიდობის ბედისათვის ზრუნვის გამო.

ერთ-ერთ მინდორში, სადაც მარცვლეულს იღებენ, მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა კომბაინერებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ უკეთ სოფლის მეურნეობაში მეცნიერული ნამუშევრ ე ბი, სრულყონ სასოფლო ტექნიკა. სწორედ ამ მიმართულებებით გვაქვს მინდვრების პროდუქტიულობის გადიდების მთავარი რეზერვები. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო იმას, რომ თავიდან უნდა ავიცილოთ დანაკარგები მოსავლის აღების დროს.

სანაშენე საქონლისა და ფრინველის რაიონული გამოფენის დათვალიერების შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მეცხოველეებს.

— დიდი ხანია კოლექტიური იჯარით მუშაობთ? — ჰკითხა მან სტარნიკოვსკის ფერმის მუშაკებს.

ხმები: მეორე თვეა. ეს-ეს არის დავიწყეთ.

მ. ს. გორბაჩოვი: ალბათ, დიდხანს ემზადებოდით, მსჯელობდით. ყველა თანახმაა?

ხმები: რა თქმა უნდა, თანახმა ვართ! დიდხანს ვითათბირეთ. მეორე თვეა ახლებურად ვმუშაობთ. და იგრძნობა, რომ კოლექტივი მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობებს. საქმე უკეთ წარიმართა.

მ. ს. გორბაჩოვი: საოცარი რამ ხდება, როცა ადამიანები ასეთი სიტუაციის პირისპირ აღმოჩნდებიან ხოლმე, როცა ისინი თავად აგებენ პასუხს ყველაფრისათვის. სრულიად სხვა შედეგებს ვიღებთ, ზოგჯერ კი ადამიანის ცხონებაც ჯაგეჩირდება. საქმეც იცვლება, დამოკიდებულებაც იცვლება და შედეგებიც იცვლება. პატარა კოლექტივში ეს უფრო სწრაფად ხდება. აი რატომ არის, რომ ოჯახური იჯარების საქმე ჩვენთან კარგად აეწყო. ისეთ დიდ კოლექტივში კი, როგორიც თქვენია, სამეურნეოანგარიშიანი იჯარა — ეს უკვე დიდი ნაბიჯია. თქვენ ხომ საქმის ბატონ-პატრონები ხდებით.

ხმა: წინათ დიდ იმედს ვამყარებდით ბაზარზე. მიგვეჭონდა იქ კარტოფილი, კომბოსტო, რთული ფული აგვეღო. ახლა კი ფერმაში გამოვიმუშავებთ ფულს, პროდუქტს კი კოლმეურნეობაში ვიწერთ ჩვენთვის, ჩვენი მეურნეობისათვის, რამდენიც გვპირდება. გვყავს საკონელი, ქათმები და ყველაფრისათვის გვყოფნის. ფულიც გვაქვს. შრომას კარგად ვვინიზღაურებენ, გვინდა გადავიდეთ ორ ცვლად მუშობაზე, მაშინ უფრო ადვილი იქნება დროის გაბარწყინება, სახლ-კარის მოვლასაც მოვასწრებთ.

მ. ს. გორბაჩოვი: სწორია, თქვენთვის ეს კარგი მანეგრია. მაშინ მეცხოველეობაში ახალგაზრდობაც უფრო სიამოვნებით წავა. იცით, რა მოგწონს? ყველაზე მთავარი ის არის, რომ თქვენ საქმის ცოდნით გადახვედით იჯარაზე, ეროვნეთ, რა არის საჭირო, თქვენ ამოცანას ხედავთ, გესმით, რა უნდა აკეთონ სპეციალისტებმა და რა გამგეებმა, რა ვალდებულებები აქვს მას თქვენ წინაშე. ეი ეს არის სწორედ ნამდვილი მეურნეობა.

კაცს ყოველთვის გული სწყდება, როცა არ ეკითხებიან აზრს, როცა მას მხოლოდ მუშახელად თვლიან და როგორც „ადამიანს, მოქალაქეს არ აფასებენ. კოლექტიური იჯარა, დემოკრატია კი, რომელიც ამასთან არის დაკავშირებული, სწორედ ადამიანს ეხმარება. ჩვენი საზოგადოების ადამიანს სურს მონაწილეობა მიიღოს ყველა საქმეში და ეს კარგია.

ოჯახური იჯარით თავიანთ მუშაობაზე დაწერილებით ილაპარაკეს ელოდ-ქმარმა ანიკინებმა, სოსენკინებმა, სმირნოვების რგოლმა. შედარებით მცირე სტაჟის მუზეუდავად, ამ კოლექტივებს საქმე კარგად მიუდიოდ. და რაც მთავარია, ხალხმა ირწმუნა თავისი ძალები, ბეჯითად სწავლობს მეურნეობის გაძღოლას ახლებურად, უფრო ეფექტიანად, რაც მეტ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას და თავად მათ.

მ. ს. გორბაჩოვმა დაწერილებით გამოიკითხა საქმის ორგანიზაციის, მისი პირველი შედეგების, იჯარის მონაწილეთა გამომუშავების ამბავი.

კოლმეურნეობა „ბორეცის“ ცენტრალურ კარ-მიდამოში მ. ს. გორბაჩოვმა დაათვალიერა საკარმიდამო ტიპის ახალი სახლების ქუჩა. მას მეურნეობა აშენებს სამეურნეო მეთოდით, მცხოვრებნი კი იხდიან ბინის ქირას. ამ ქუჩას, თქვეს მშრომელებმა, ბევრ გავაგრძელებთ. საამისო სახსრები მეურნეობას აქვს. მხოლოდ უნდა გაუმჯობესდეს საშენ მასალათა საქმე.

მ. ს. გორბაჩოვი შინ მიიპატიჟეს ცოლ-ქმარმა კოსტიკოვებმა.

ნაუბადღევს გენერალური მდივანი „პოდმოსკოვნის“ საბჭოთა მეურნეობას ეწვია. მან დაათვალიერა ბოსტნეულის უნარჩენო აღებისა და გადატანის უპაკეტო ტექნოლოგიის მანქანების სისტემები პროდუქციის გადამუშავებისა და დაფასოების საამქროში.

შემდეგ გენერალური მდივანი შეხვდა მეურნეობების ხელმძღვანელებს, პარტიული კომიტეტების მდივნებს, „რამენსკის“ აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებს. შეხვედრაზე გამოვიდნენ აგროსამრეწველო კომპლექსის გენერალური დირექტორი კ. ვ. ეუნიკეკი, „პუტ ლენინას“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ე. ჩერნიაკოვი, კოლმეურნეობა „ლენინეცის“ პარტკომის მდივანი ა. ნ. კონსტანტინოვი, „პოდმოსკოვნის“ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნ. ნ. ნიკიშინი, ხელსაწყოთასშენებელი ქარხნის დირექტორი ი. ნ. სტეპნოვი.

დასასრულ გამოვიდა **მ. ს. გორბაჩოვი.** მან თქვა:

საერთოდ, ამხანაგებო, სულაც არ ვფიქრობდი თქვენს წინაშე სპეციალურად მომზადებული სიტყვით გამოვსულიყავი. პირიქით, ჩვენ ისე დავეგეგმეთ მოგზაურობა, რომ უფრო მეტად გავცნობოდით ერთმანეთს, გვესაუბრა. და მე, ამხანაგებო, ახლა, როცა ჩემი ხანმოკლე მოგზაურობა მოსკოვის ოლქის ერთ — რამენსკოეს რაიონში უკვე მთავრდება, შემიძლია ვთქვა, რომ ძალზე კმაყოფილი ვარ ამ მოგზაურობით, შეხვედრებით

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: „რამენსკის“ აგროსამრეწველო კომბინატის ხელმძღვანელებთან და პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან საუბრის დროს.

საკ.ფეს-საქინფორმის ტელეფოტო.

შეეპრალებრება ორბიტაზე

საკლესის ცნობა

1987 წლის 6 აგვისტოს მოსკოვის დროით 2 საათსა და 28 წუთზე „პროგრეს-31“ სატვირთო ხომალდი შეუპირაპირდა „მირ“ პილოტირებულ კომპლექსს.

„პროგრეს-31“ ხომალდი კომპლექსს შეუპირაპირდა „კვანტის“ მოდულის მხრიდან. ორბიტაზე მიტანილია სათბობი საადგურის გაერთიანებული ძრავის დანადგარისათვის, სურსათ-სანოვაგე, წყალი, მოწყობილობა და აპარატურა, აგრეთვე ფოტატა.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებითა და ეკიპაჟის მოხსენებებით, „მირ“ პილოტირებული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

იური რომანენკო და ალექსანდრე ალექსანდროვი თავს კარგად გრძნობენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. მ. ი. ბერძენიშვილისათვის „სსრ კავშირის სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს **„სსრ კავშირის სახალხო მხატვრის“** საპატიო წოდება ამხ. მერაბ ისიდორეს ძე **ბერძენიშვილს** — მოქანდაკეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი. კრემლი. 1987 წლის 6 აგვისტო.

გარდაქმნა საქმეებით იზომება

(დასასრული)

და საუბრებით, რომლებიც ამ ხანმოკლე დროში გაიმართა. კმაყოფილი ვარ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ვნახე როგორ აამძრავებულან რამენსკოეს რაიონი, მისი მშრომელები, კადრები და პარტიული ორგანიზაცია. ამოძრავებულან ახალ ამოცანებზე, იმ მოთხოვნებზე ფიქრის თვალსაზრისითაც, რომლებიც დრომ წამოგვიყენა ყველას ძირეული გარდაქმნის, პრაქტიკული ცვლილებების ეტაპზე.

და ეს, ალბათ, ყველაზე მთავარი წანამძღვარია იმისა, რომ გარდაქმნა რეალობად იქცეს. რაკი ადამიანებმა სერიოზულად, საქმიანად ფიქრი დაიწყეს, რაკი ისინი გამოთქვამენ საფიქრალს და იმედოვნებენ, რომ ეს აზრები, შესაძლოა, სასარგებლო გამოდგეს, მაშასადამე, შეგვიძლია იმედი გვქონდეს, რომ ჩვენი პოლიტიკა, გარდაქმნისათვის გამიზნული ჩვენი გეზი არ იქცევა მორიგ კამპანიად, რომელსაც შედეგად განსაკუთრებული ცვლილებები არ მოჰყვება.

ჩვენ, ამხანაგებო, უნდა გვესმოდეს, რომ ყოველ წელს, ყოველ დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ბედისათვის. ერთი სიტყვით, ჩვენი საზოგადოების განვითარების მთელი მსვლელობით ისეთი სიტუაციას მივაღწიეთ, როცა ძირეული გარდაქმნაა საჭირო. პატარ-პატარა ნაბიჯებით, სანახევრო ზომებით, რაღაც დამატებითი ღონისძიებებით პრობლემას ვერ გადაჭრი.

ახლა, ჩემი აზრით, პარტიისა და საზოგადოების ყველაზე დიდი მიღწევა ის არის, რომ ყველას გვესმის ეს. ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ისეთი რწმენა გვაქვს, რომ ხალხსაც, პარტიასაც და ჩვენს კადრებსაც ესმით, რომ გარდაქმნა ხელოვნურად გამოგონილი საქმე კი არ არის, არამედ საარსებო მნიშვნელობის, აუცილებელი საქმეა, გარდაქმნის გზას განუხრელად უნდა დავადგეთ და მტკიცედ ვიაროთ ამ გზით. თუ ვინმეს, შესაძლოა, ამ დარბაზშიც კი, დღემდე ჯერ კიდევ ეგონა, ჯერ ვნახოთო, ადრეც ყოფილანო რეორგანიზატორები და იქნებ ესეც რაღაც მორიგი რეორგანიზატორული ცინიაო ჩვენს საზოგადოებაში, მათ შორის ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონეზეც, მერწმუნეთ, ამგვარად ფიქრი შეცდომაა. არა, ჩვენმა საზოგადოებამ მართლაც ტანჯვით შვა გარდაქმნა, იგი მას რეალურად მიადგა. და თუ ახლა დროს დავკარგავთ, ბევრ რამეს წავაგებთ.

ეს პირველი. ახლა ერთმანეთის თვალებში ვუყურებთ და ისე ვსაუბრობთ, ამიტომ მინდა კიდევ ერთხელ გითხრათ — არავითარი ყოყმანი, საბოლოოდ უნდა გარდავიქმნათ. და უნდა გარდავიქმნათ ყველანი. ვიცით, რომ ჩვენს საზოგადოებაში არიან ძალები, რომლებსაც უნარი შესწევთ თავს იდონ პასუხისმგებლობა გარდაქმნისათვის, გასწორონ ეს ჭაპანი. დარწმუნებული ვართ, ჩვენი საზოგადოება შეასრულებს გარდაქმნის ამოცანებს, თუ განიწმინდება, განთავისუფლდება ბევრი რამისაგან. და უწინარეს ყოვლისა ძველი აზროვნების, ძველი მიდგომებისაგან. მაშ, მოდით, განვახლდეთ. განახლება ჩვენით იწყება. აი, ამიტომ ვამბობ, რომ ყველაფერი პარტიით, ხელმძღვანელი კადრებით უნდა დაიწყოს. ეს საკვანძო საკითხია, ამხანაგებო. თუ სადმე პარტიული ორგანიზაცია, — საოლქო, რაიონული ან პირველადი — აგვიანებს, ამით საქმე ზარალდება. ამიტომ ეს მკაფიოდ უნდა გვესმოდეს და პირდაპირ ვლაპარაკობდეთ ამაზე საზოგადოებისა და ხალხის უმაღლესი ინტერესების გათვალისწინებით. მტკიცედ უნდა დავადგეთ გარდაქმნის გზას. როცა ხალხს შევხვდი საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, მივხვდი, რომ გარდაქმნა მათ სჭირდებათ. ჩვენ და თქვენ ეს პოლიტიკა პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა სიბრტყეზე უნდა გადავიყვანოთ და კონკრეტულად გავცეთ პასუხი იმას, თუ რა უნდა აკეთოს ყოველმა კაცმა თავის პოსტზე — კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, საწარმოში, — რაში უნდა მოუმატოს თითოეულმა. ხალხი მორალურად და ფსიქოლოგიურად მზად არის საამისოდ. ეს კარგი საფუძველია ჩვენი კადრების მუშაობისთვის, პარტიული ორგანიზაციებისათვის. ამიტომ, თუ სადმე საქმე რიგზე ვერ არის, ეს უკვე პარტორგანიზაციის, ხელმძღვანელი კადრების ბრალია. ამასაც პარტიულად პირდაპირ უნდა ვამბობდეთ. თუ ვიღაცას უკვე აღარ შეუძლია გარდაქმნაში ჩაბმა, სხვებს უნდა დაუთმოს ჯგ.

იქნებ მკითხოთ, გარდაქმნის რეალიზაციისათვის მთელი კადრების შეცვლა ხომ არ არისო საჭირო? არა! ვფიქრობ, გარდაქმნის ამოცანებს ჩვენი ხალხით და ჩვენი კადრებით უნდა ვწყვეტდეთ. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ შეიძლება მოხდეს გადაადგილებები უმაღლეს და საშუალო ეშელონებშიც, მეურნეობათა დონეზეც, რომ მოხდება ახალი ძალების მოზღვავება. მაგრამ ძირითადად ეს ის კადრებია, რომლებთან ერთად უნდა გადავწყვიტოთ გარდაქმნის საქმე. ოღონდ, გარდა ამისა, არის ბუნებრივი პროცესიც: არიან ისეთებიც, რომლებიც უკვე აჯამებენ თავიანთ შრომითს საქმიანობას. ეს გასაგებია. ანდა ვიღაცას უკვე უბრალოდ აღარ ძალუძს ახალი ამოცანების გადაწყვეტა. ესეც გასაგებია, და აქ არ ღირს სიტუაციის დრამატიზება. ყოველ დროს თავისი კადრები ყავს, თავისი მოთხოვნები და თავისი მიდგომები აქვს. ვისაც შეუძლია გარდაიქმნას და იაროს ამ ახალი გზებით, გამოიყენოს ახალი მიდგომები პოლიტიკურ, ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობაში, იმან უნდა იმუშაოს და ისარგებლოს მშრომელებისა და პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერით. მე მგონია, ჩვენი კადრების ძირითადი მასა მზად არის საამისოდ. ხან ასეა, ხან — ისე: ერთი უფრო სწრაფად ჩაებმება, მეორე ჯერ კიდევ ჩაუფიქრდება. საბოლოოდ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ ჩვენი კადრების ძირითადი შემადგენლობა გადაწყვეტს ამ ამოცანებს. ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენი კადრების, ადამიანების მოშლას. და ამავე დროს ვერ შევუოდგებით იმას, რომ ყველაფერი წინანდებურად, დაუჩარებლად, ახალი სიჩქარეებს ჩაურევლად მიმდინარეობდეს.

ჩემზე ძლიერ ამოქმედი იმან, თუ როგორ იგრძნეს ადამიანებმა თავიანთი ხალხური გუშინდინ გარდაქმნის აზრი. ეს ყველაზე მთავარი შთაბეჭდილებაა, რომელიც დღევანდელი შეხვედრისაგან მრჩება.

ხომ ცხადია, ამხანაგებო, რომ, თუ განწყობილება არ არის, მას ვერ მოიგონებ, რაგინდ ამხნევებდე ადამიანს. ხალხს ვერ მოატყუებ. ის განწყობილება კი, რომელიც ახლა ჩვენ ადამიანებს დაუფლებია, ნოყიერი ნიადაგია. ამიტომ არ უნდა კარგავდნენ დროს პარტორგანიზაციები და ხელმძღვანელი კადრები. წინ უნდა დავძრათ გარდაქმნის მთელი პროცესი.

რა არის მისი მთავარი რგოლები? პირველი: ჩვენ უნდა უზრუნველვყოფდეთ საჯაროობის, ხალხთან ყველა, მათ შორის უძველესი საკითხების განხილვის ატმოსფეროს, ვწყვეტდეთ ამ საკითხებს მასთან ერთად. ამისათვის საჭიროა დემოკრატიზაცია, ჩვენი ხალხის რეალური მონაწილეობა. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ გარდაქმნის საძირკველი დემოკრატიზაციაა. ეს არის მუშაობის სხვა მეთოდები პარტიულ ორგანოებში, სახალხო მეურნეობასა და ყველა შრომითს კოლექტივში. უკვე კანონიერი გამოყენება პოვა ისეთმა ახალმა ფორმებმა, როგორიცაა მეურნეობრიობის ახალი მექანიზმი, ხელმძღვანელთა არჩევნები, კოლექტივების საბჭოები როგორც, ბრიგადის, ისე საამქროსა თუ საწარმოს დონეზე. საიჯარო და ოჯახური ფერმების კოლექტივების მაგალითით თქვენ, ალბათ, იგრძენით, თუმცა როგორ მოსწყურებია ჩვენს ხალხს შრომა და რამდენად ნდომებია მას არა მარტო უბრალოდ მეტის გამომუშავება — ეს სურვილი არსებობს და იგი გასაგებია — არამედ პატიოსნად გამომუშავება. მას ხომ სახელმწიფოსათვის წაგლეჯა კი არა, გამომუშავება უნდა. განა ეს სოციალისტური სურვილი არ არის? სავსებით სოციალისტურია და ამიტომ არავითარი შეზღუდვა არ უნდა იყოს — ყველაფერი, რასაც კაცი გამოიმუშავებს, მას უნდა მიეცეს. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ვიღაც უშრომლად იღებდეს რამეს. სწორედ ეს არის სოციალიზმი.

აი, ერთმა ქალმა თქვა: წინათ ბიულეტენზე რომ გავიდოდი, ლმერთს მადლობას ვწირავდი. ის კი არა, მისი გაგრძელებაც შეიძლებოდა. ახლა კიდევ, ამბობს, ბავშვი რომ გამიხდება ავად, ან თვითონ თუ გავალ ბიულეტენზე, ტვინს მიბურღავს იმაზე ფიქრი, საქმე როგორ მიდის-მეთქი. ვეღარ ვითმენ — ერთი-ორი დღე გავა და სამუშაოზე მიწევს გულიო. აი, უკვე როგორ ფიქრობს ხალხი, რა აზრები იბადება. ეს ხომ ძალზე მნიშვნელოვანია, ამხანაგებო, უნდა დავინტერესოთ ადამიანი, რათა კოლექტივი გახდეს სტაბილური, რათა ადამიანი იყოს კომპეტენტური, კვალიფიციური, რომ ყველანი იცნობდნენ ერთმანეთს. მარტო ამას შეუძლია დიდი შრომის ნაყოფიერებისა და ჩინებული ხარისხის უზრუნველყოფა. ყოველივე ეს ახალ ატმოსფეროს ქმნის. იგი უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატიის, ახალი სამეურნეო მექანიზმის მეშვეობით, თვითონ დაგეგმვის პროცესში, წარმოების ორგანიზაციაში ადამიანის ჩაბმის შეშვებით. აი, ეს გვჭირდება, ეს აძლევს სტიმულს შრომას, განამტკიცებს ინიციატივას, კეთილსინდისიერებას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და საზოგადოების ინტერესებს პირად ინტერესებთან ერთიანებს. თუ ირღვევა პირადი ინტერესები, არაფერი არ გამოვა, და საზოგადოებაც წააგებს. მაგრამ, თუ ყველაფერი ხელფასის ზრდას მოხმარდება, ქვეყანა კი ამით არაფერს არ მიიღებს, ქვეყანა წააგებს, და ადამიანი იგრძნობს, რომ თავადაც აგებს. ამიტომაც უნდა ვიპოვოთ ინტერესების ბალანსი, და ჩვენ მას ვპოულობთ ახალი მექანიზმის, დემოკრატიის ფორმის მეშვეობით — აი, ეს არის პირველი, საჯაროობის ვითარების, გარდაქმნის ყველა პროცესში ადამიანების ჩაბმის მეშვეობით. ძნელია ახლა მუშაობა, ჩვენ ყველას ზოგჯერ დემოკრატიის ანბანის შესწავლა გვიწევს. ახლა ვიგრძენით, თუ რა არის ნამდვილი დემოკრატია. ზოგი შეშინდა, ზოგი კი ალაპარაკდა: რას ვშვრებით, რითი დამთავრდება ყველაფერი ეს? მაგრამ იმათ, ვინც ასე მაკლილობს, ავიწყდებათ მთავარი, რომ ადამიანს ყოველთვის აქვს საღი აზრი. ზოგან შეიძლება ისე მოხდეს, რომ თავი იჩინოს ჯგუფურმა ინტერესებმა, ურთიერთთავდებობამ, მაგრამ ძირითადად ყველას უნდა, რომ ბრიგადას, საამქროს, საწარმოს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობის საფთავნი იდგნენ საიმედო, ჭკვიანი ხელმძღვანელები, რომლებსაც შესწევთ უნარი გაიყოლინონ ხალხი, დასახონ პერსპექტივა, რომელთანაც დაკავშირებულია ცხოვრების გაუმჯობესება. ჩვენს ხალხს ეს ესმის, და სულაც არ სჭირდება გულჩვილი ხელმძღვანელები. არა, ადამიანებს სჭირდებათ ნიჭიერი, შრომის მნიშვნელობის მცოდნე, ყურადღებიანი, მაგრამ ამავე დროს მომთხოვნი, სამართლიანად მომთხოვნი ხელმძღვანელები. დემოკრატია დიდი სქმეა.

მაგრამ თქვენს მაგივრად სხვა როდი უნდა ამყარებდეს წესრიგს კოლექტივში, ეს თავად უნდა მოაგაროთ. გამოიყენეთ ახლა დემოკრატიული ფორმები. ეს ეხება ხელმძღვანელებსაც, განსაკუთრებით პარტორგანიზაციებს. პირველი, რაც უნდა უზრუნველვყოთ, ეს არის ატმოსფერო, რომელშიც ხელი უნდა შეუწყოს გარდაქმნას და ადამიანი სოციალურად აქტიური, პასუხისმგებელი გახადოს.

მეორე. ზოგჯერ ამბობენ, ეს არა გვყოფნის, ის გვაკლიაო. დღეს მთელი დღის განმავლობაში არც ერთი უსაფუძვლო თხოვნა არ მომისმენია. ყველა თხოვნა საფუძვლიანი და სერიოზულია. წვრილმანი საკითხებით ხალხი არც კი მოგვმართავს. ესეც ჩვენი ადამიანების სიმწიფეს მოწმობს. ბევრი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი და ბევრი რამ გვაკლია, ტექნიკაც, განსაკუთრებით კვების მრეწველობისათვის, სამშენებლო მექანიზმებიც, მასალებიც, ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ, ამხანაგებო, თავგზა რომ არ დაგვებნეს, ამ მიმართულებითაც უნდა გარდავიქმნათ, სწორ პოზიციებს უნდა დავადგეთ.

ამაირდან წინა პლანზე უკვე უკუგების საკითხი დგება. დიახ, ჯერ კიდევ არის გადასაჭრელი პრობლემები. უნდა შევქმნათ მაწყობების კომპლექსი ყოველი ელტურისათვის: სტაფლოს, ხახვის, ნიახურისათვის და ა. შ. მაგრამ უკვე ღღეს მთავარი საკითხია უკუგება. ახლა სოფელში უკვე შეიქმნა უზარმაზარი პოტენციალი, მან სხვაგვარად უნდა იმუშაოს, ვიდრე აქამდე მუშაობდა. წინა პლანზე დგება სოფლად ახალი მექანიზმი, ორგანიზაციის ახალი ფორმები, სტიმულირების ახალი ფორმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გავაერთიანოთ საზოგადოების ინტერესი და ადამიანის პირადი ინტერესი.

ავიღოთ თუნდაც სოლდატოვების ოჯახური ფერმა, ერთ წელიწადში აქ წველადობა 1.800 კილოგრამით გაიზარდა. რატომ? ადამიანი დაინტერესდა, ყველაფერი გაიანგარიშეს — განსაზღვრეს ხელმძღვანელობის მოვალეობანი, საკუთარი მოვალეობანი, ნორმატივები.

ანდა, სხვა მაგალითი ყუბანის პრაქტიკიდან. იქ ყველაფერი გადახნეს, ყველაფერი ითვისეს. კოლმეურნეობაში, სადაც ვიყავით, ტომაშევსკის რაიონში, მზესუმზირა ჰექტარზე 23-23 ცენტნერი მიიღეს, ოჯახურმა რგოლმა კი — 35 ცენტნერი მოიწია. იმავე მიწაზე, იმავე წვიმით, იმავე სასუქებითა და თესლით, იმავე მანქანებით. გვაქვს ასეთი მაგალითები ბამბის მოვლა-მოყვანაშიც. ფსკოვის ოლქის ერთერთ რაიონში ოჯახური, კოლექტიური იჯარა შექმნეს, და ამრიგად, უფრო მოკლე ვადებში და უკეთ დათესეს. იგივე ფართობი ისე, რომ მეშახელი არ გაუზრდიათ.

დიახ, ამხანაგებო, უნდა გადავწყვიტოთ სოფლის ბევრი საკითხი, განვამტკიცოთ მისი ბაზა. ჩვენ ქალილაპარაკეთ პოლიტბიუროში იმის თაობაზე, რომ მოვამზადოთ ცენტრალური კომიტეტის ახალი პლენუმი, რათა დავხვიწოთ აგრარული პოლიტიკა ახალი სიტუაციისა და შეძენილი გამოცდილების შესაბამისად. როგორც ჩანს, შევეხებით ყველა საკითხს: სოციალურს, მატერიალურ ბაზას და სხვებს, რათა აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი სწორად იყოს დაკავშირებული ეკონომიკურად სახალხო-სამეურნეო კომპლექსთან, საბითუმო ფასების ცვლილების მიხედვით, რათა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი შემოსავალი წყალში არ ჩაიყაროს. ყოველივე ამაზე უნდა ვიფიქროთ. მაგრამ, ამხანაგებო, დაიხსომეთ მთავარი — ეს არის მეურნეობრიობის ახალი მეთოდების საკითხები. ხელი მოჰკიდეთ ამას. დღეს, ხალხს რომ ვესაუბრებოდით, ერთ-ერთმა ბრიგადიერმა, რომელიც მშენებლობაზე მუშაობს, თქვა, მეურნეობის მუშაკები და სპეციალისტები მაინცდამაინც აქტიურად არ გადადიან კოლექტიურ იჯარაზე. ხელმძღვანელებმა სხვაგვარად უნდა იმოქმედონ, პირი იბრუნონ ყველა მომუშავისკენ, დემოკრატიისაკენ, ახალი მექანიზმებისაკენ.

იცოდეთ, დროს ნუ დაკარგავთ, თორემ მაჩანჩალები აღმოჩნდებით. რა თქმა უნდა, არავის არ უნდა დავაძალოთ კოლექტიურ იჯარაზე გადასვლა. აქ საჭიროა ბევრი მუშაობა, სპეციალისტების და ეკონომისტების ჩაბმა, ხალხთან მოთათბირება, როცა ხალხი დაინახავს, რომ კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობას, პარტიბიუროს გული შესტკივა ამ საქმისათვის, გადავა იჯარით მუშაობაზე. მაგრამ ეს არ უნდა გაკეთდეს მოდისთვის, ინგარიშგებლობისთვის, იმისთვის, რომ ჩაგეთვალოს: არის იჯარა? არის კოოპერატივი მომსახურების სფეროში? არ არის. საით იყურები? რატომ არ არის? შენ რა, პარტიის გადაწყვეტილებების წინააღმდეგი ხარ? ეს ძველი ლაპარაკია, ძველი, დრომოჭმული მეთოდები. ასე მოქცევა აღარ შეიძლება. უნდა ვიმოქმედოთ არსებითად, გადავიდეთ მეურნეობრიობისა და სტიმულირების ახალ მეთოდებზე.

ახლა დიდი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გვაქვს, განსაკუთრებით სხვა ზონებში. იქ დიდი ბრიგადები, განყოფილებები და კომპლექსებია. ისინი ცოტა არ იყოს მოსწყდნენ მიწას. ეს გავლენას ახდენს საბოლოო შედეგებზე. ახლა ამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფარგლებში კოლექტიური, ოჯახური იჯარის, საიჯარო მორიგების მეშვეობით უნდა უზრუნველვყოთ კავშირი ადამიანის ინტერესებთან. და მაშინ დიდი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობებს შეეფერებოდა ადამიანის პირად ინტერესებს. და ეს არის ის, რაც გვჭირდება. ამგვარი მოქმედებით ორ-სამ წელიწადში შეიძლება ქვეყანა ამ გზით წავიყვანოთ. საქმიროა მხოლოდ ვირწმუნოთ ეს და ვიმუშაოთ საფუძვლიანად, გონივრულად. მაშინ საქმე წინ წავა.

რა თქმა უნდა, სოფლად კაცი მოწყობილი უნდა იყოს, თუ ეს საკითხები წყდება, სტაბილური ხდება შრომითი კოლექტივი. ადამიანები აფასებენ არა იმას, თუ რა სწრაფად იზრდება ხელფასი, არამედ, როგორ იცვლება სოფელი, როგორ იცვლება წარმოება, საყოფაცხოვრები პირობები წარმოებაში. თავად შრომის ხასიათი. ამას თუ უზრუნველვყოფთ, ახალგაზრდობა წავა კოლმეურნეობრივ-საბჭოთა-მეურნეობრივ წარმოებაში და ჩაამყოფს მას თავის გონებას, განათლებას, ახლის შეთვისების უნარს და მაშინ უფრო სწრაფად განვითარდება ტექნიკური პროგრესი.

ახლა რა არის საჭირო იმისათვის, რომ ყველაფერი ეს წამოწყოთ და გადაფწყვიტოთ? ამხანაგებო, საჭიროა ინიციატივა, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, გამბედაობა. გაბედეთ, თავს იდეთ, იმოქმედეთ, გაერთიანდით კოოპერატივებში. აქ თქვენ, განსაკუთრებით გაერთიანების ფარგლებში, უდიდესი შესაძლებლობანი გაქვთ.

მაშასადამე, — სამეურნეო ინიციატივა, სამეურნეო ფხიზლობა, დამოუკიდებლობა. რისკს ნუ შეუშინდებით. ნუ მოერიდებით ინოვატორულ გადაწყვეტებს.

ის მეურნეობები, რომლებიც დავათვალიერე და ხალხსაც ვესაუბრე, — ძირითადად მოწინავე მეურნეობებია. და აი საუბრის დროს ერთმა ქალმა კიდევაც მითხრა: მიხეილ სერგის ძევ, შორეულ რაიონებსაც ეწვიეთო: მივუხვდი გადაკრულ სიტყვას. ყველაფერი ისე რომ არ არის მოსკოვის ოლქში, როგორც ი აქ, სადაც ახლა ვართ, ყველგან ისე არ არის, როგორც რამენსკოეს რაიონში. მე კი ხომ კარგად ვიცი, რომ ეს სწორედ ასეა. სულაც არ არის საქმე ასე არც დასავლეთში, არც ჩრდილო-დასავლეთში, არც ჩრდილოეთში. და არა მარტო იქ. მოსკოვის გვერდითაც არის სუსტი მეურნეობები, განსაკუთრებით მათი სოციალური განვითარების, სტაბილური კოლექტივების შექმნის თვალსაზრისით. და აქედან გამომდინარეობს ყველა ეკონომიკური და სხვა შედეგები.

მაგრამ კარგია, რომ მოსკოვის ოლქში აქტიურად მიმდინარეობს პროცესი უკეთესობისაკენ. სულ უფრო მეტი მეურნეობა ღონიერდება, დგება სტაბილურად რენტაბელურთა რიცხვში, ითვისებს ინდუსტრიულ ტექნოლოგიებს, ეძებს ახალ მიდგომებს, ეწევა მშენებლობას, აღადგენს მატერიალურ სოფლებს, აგებს გზებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჯერჯერობით მხოლოდ დასაწყისია.

მართლაც, მოსკოვის ოლქშიც კი არა მარტო სოფლები, არამედ ქალაქებიც სოციალური სფეროს განვითარების თვალსაზრისით, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების თვალსაზრისით ბევრი მაჩვენებლის მიხედვით რუსეთის ფედერაციის ოლქების სიის ბოლოშია. დედაქალაქის ოლქი! ეს, რა თქმა უნდა, არ ვარგა. თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ საკითხები იმ გზების შესახებ, რომლებზეც დღეს ვსაუბრობდით.

მოსკოვის ოლქს სერიოზული გარდაქმნა, სერიოზული რეკონსტრუქცია სჭირდება, განსაკუთრებით მსუბუქ და კვების მრეწველობას. მთელ სოციალურ ინფრასტრუქტურას სჭირდება სერიოზული განვითარება. აქ ბევრი სამუშაოა. მაგრამ ოლქის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი პოტენციალი შეიძინა და შეუძლია გადაწყვიტოს ეს ამოცანები.

სიჯრელე კი თქვენთან დიდია. მაჩვენებლები მერყეევია, მოწინავეებთან ერთად მრავლად არიან შეათანები და ჩამორჩენილიც კი. ასე რომ, ნაბიჯს წინ იმ შემთხვევაში გადავდგავთ, თუ ყველას საშუალო დონემდე მიინც წამოვწევთ. თუ მიუახლოვდებით საუკეთესო მეურნეობებს, მაშინ ბევრს გადაწყვეტთ. სამი მილიონი ტონა რძე — ეს ამოცანა უნდა დაისახოთ და შეასრულოთ. მილიონი ტონა ბოსტეღეული უკვე უნდა გქონდეთ. მილიონი ტონა კარტოფილი უნდა გქონდეთ. ჩვენი აზრით, მოსკოვის ოლქს სპეციალიზაცია არ უნდა შეიცვალოს. ეს მარცვლეულის მხარე არ არის. ეს მეცხოველეობის, მებოსტნეობის, მეკარტოფილეობის მხარეა. აი ეს სპეციალიზაცია უნდა განვავითაროთ. უნდა განვავითაროთ საკვები ბაზა. საკვები თქვენ თვითონვე უნდა აწარმოოთ, თქვენ კი ძალიან ბევრს ყიდულობთ, თითქმის ნახევარს.

გაკეთდა ზაგოროვის ტექნოლოგიას. სასუქები იგივეა, თესლი იგივე. მაგრამ ხალხი უკვე სხვა არის, სხვაა ძალებისა და სახსრების განაწილება, სხვაა დამუშავების სისტემა. და ხედავთ, მიწა როგორ გალაღდა! ერთბაშად 450 ცენტნერი ჰექტარზე. ასე რომ, მილიონ ტონა კარტოფილს უფრო სწრაფად მივიღებთ, თუ ამ ტექნოლოგიაზე გადავალთ, და მიწებსაც გავათავისუფლებთ სამყურასათვის.

ანდა ნახეთ, რა მოგვიტანა ჰოლშტინიზაციამ. მან უკანასკნელი ერთიორი წლის მანძილზე შესაძლებლობა მოგვცა გაგვუმჯობესებინა ჯოგი, მიგვეღო მეტი რძე.

უნდა გავაძლიეროთ მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირი, ამ მუშაობაში ჩავაბათ მოსკოვის ოლქის სამეცნიერო ორგანიზაციები, რათა ისინი დაგვეხმარონ სწრაფად წამოვწიოთ მოსკოვის ოლქი აგრარული სექტორის პროდუქტიულობის თვალსაზრისით. ჩვენ დაგეხმარებით. მაგრამ მე, ამხანაგებო, თქვენი, მოსკოვის ოლქის კომუნისტების იმედი მაქვს.

გთხოვთ, თქვა დასასრულ მ. ს. გორბაჩოვმა, ცენტრალური კომიტეტის სახელით გადასცეთ სალამი მოსკოვის ოლქის კომუნისტებს, მეურნეობათა მშრომელებს და უსურვოთ დიდი წარმატებანი. ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად რამენსკოეს რაიონში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. პ. ნიკონოვი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კ. მესიაცი.

ა. ბელიკოვი,
ბ. გრიშჩენკო,
ნ. ჟელეზნოვი,
საკავშირო სპეც. კორესპონდენტები.

შრომითი ქრონიკა

ნაყოფიერების ზრდით

ტყიბული. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს აღწევს ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი. იზრდება ნაკისრ ვალდებულებათა ანგარიშში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. ორჯონიკიძელებმა ექვს თვესა და ოც დღეში დაავალების გადამეტებით მოახმარეს 13 ათასი ტონა ქვანახშირი მიაწოდეს. თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტამდე გაიზარდა.

დაინერგა დიდფარეოებული ავტომატები

თერჯოლა. (საკ. კორ.) ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის თერჯოლის საქსოვ უბანზე დაინერგა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია. ძველი დანადგარები შეიცვალა თანამედროვე ავტომატური საქსოვი დაზგებით, რომლებმაც 115 პროცენტამდე გაზარდეს წარმოების მოცულობა. შრომის ნაყოფიერება 114 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულება კი 40300 მანეთით შემცირდა. ეს მიღწეულია ნედლეულის ნარჩენების გამოყენებითა და მასალების დაზოგვით.

განმტკიცდა შრომის, საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინა, გაძლიერდა კადრების პასუხისგებლობა, გაუჯობესდა დაზგა-დანადგართა ტექნიკური მდგომარეობა და პროდუქციის ხარისხი, გაფართოდა ასორტიმენტი.

მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა სამეურნეო ანგარიშზე გადასასვლელად. შექმნილია კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური სკოლები, მომდინარეობს საწარმოს კაპიტალური შეკეთება და სხვ.

გეღელშია 18.650 ტონა პურეული

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს წითელწყაროელმა მემანდერეებმა. როგორც რაიონის აგროსამეწეველო გაერთიანების თავმჯდომარემ ი. თეთვაძემ გვაცნობა, საწარმოებრივმა მეურნეობებმა 18.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 18.650 ტონა პურეული. აქედან 6.230 ტონა საშემოდგომო ხორბლის თესლია. საგეგმო დავალებები გადამეტებით შეასრულეს წითელწყაროს, ორჯონიკიძის, ზემო მაჩხაანის, არხილოსკალოს, მარზანის და რაიონის სხვა კოლმეურნეობებმა.

მარცვლეულის დამზადება გრძელდება.

ჩაი — 87

მეჩაიეობის დიდი რაიონების — მახარაძის და გალის შემდეგ „კომუნისტის“ საგუშაგოს წევრები თერჯოლის რაიონის, წყალტუბოს და ტყიბულის ჩონის მეჩაიეებს შეხვდნენ. რა უკბრთ და რა ულხინთ მათ? სწორედ ამაზე მოგვითხრობს ეს კორესპონდენცია.

ზღვა წვეთებით ივსებაო, იტყვიან ხოლმე. ეს ჭეშმარიტება მიესადაგება მეჩიეობის პატარა რაიონების წვლილს ჩაის ფოთოლის სიუხვისათვის ლაშქრობაში. ისინი საზოგადებრივი მეურნეობების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდასთან ერთად ხელს უწყობენ სუბტროპიკული ზონის მეჩაიეთა საიუბილეო წლის ვალდებულების უთუო შესრულებას.

თერჯოლელ მეჩაიეთა ვალდებულებაა 1.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფონ. ეს შარშანდელს 400 ტონით აღემატება. მრავალდარგოვან რაიონში ჩაის კულტურამაც მოიკიდა ფეხი, წლეულს პლანტაციებს მზრუნველი ხელი არ მოაკლეს და ივნის-ივლისში ფოთოლი საკრეფად ყველგან უხვად იყო. განსაკუთრებით ხარისხიანია მეორე ვეგეტაციის ნედლეული. მეჩაიეებიც არ აყოვნებენ, ჩქარობენ, რომ ჩამორჩენა დაძლიონ და მარტო გეგმა კი არა, ვალდებულებაც შეასრულონ.

ეწრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ყველაზე მეტ ჩაის ნედლეულს ამზადებს. ჩაი კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა. ჩაიმ აჯობა ყურძენსო, — ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვებს კოლმეურნეებისგან. ჩაიდან შემოსავალი შარშან 600 ათას მანეთამდე იყო, ყურძნიდან კი — 500 ათასი მანეთი. აქ ჰექტარზე 12,5 ტონა ჩაის ფოთოლს იღებენ.

მოღწევები იოლად როდი მოდის, დიდი გარჯის ნაყოფია. მეჩაიეები თავს დასტრიალებენ ბუჩქებს, დროულად, აგროტექნოლოგიური პროცესების დაცვით ამუშავებენ მიწას, შეაქვთ მინერალური სასუქები, სხლავენ, რწყავენ; მოვლა-პატრონობის ეს მთლიანი ციკლი აქ უხვი მოსავლის გარანტიად მიიჩნიეთ.

მაგრამ მრავალდარგოვან კოლმეურნეობას, როგორც მისმა თავმჯდომარემ გ. ზარნაძემ გვითხრა, მუშახელი არ ჰყოფნის, რომ შემოსული ფოთოლი დროულად მოიკრიფოს. ამიტომ ბუჩქებზე რჩება 4-5 დღით ადრე მოსაკრეფი დუყები. ამის გამო დუყები უხეშდება და ხარისხს კარგავს, თანაც მომდევნო ვეგეტაციასაც აგვიანებს. დათვალიერების დღეს მეოთხე საწარმოო ბრიგადის (ხელმძღვანელი — ა. ბასილაძე) პლანტაციების საკმაო ნაწილში ბუჩქებზე დუყები გაუხეშებული იყო. კომისიისთვის. არადა, ჩაი არის. ვალდებულებას 30 ტონით გავზრდითო, გვითხრა თავმჯდომარემ, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია ბუჩქებზე არც ერთი დუყი არ დარჩეს მოუკრეფავი, როგორნობასთან ერთად ხარისხია უპირველესი საზრუნავი.

ჩვენ ერთი მოწინავე კოლმეურნეობის მეჩაიეთა მუშაობა იმიტომაც განვაზოგადეთ, რომ რაიონში მანქანებით ჩაის ფოთლის კრეფა წლეულს დაიწყეს. გარდა ამისა, სხვა მეურნეობებშიც საჭიროა კადრების მომზ

70

70 წელი დიდი ოქტომბრის დროშით

70 წლის წინათ პეტროგრადში ნახევრად ლეგალურ პირობებში დაიწყო მუშაობა რსდმპ (ბ) მეექვსე ყრილობამ, რომელმაც პარტიას შეიარაღებული აჯანყების გეზი მისცა. მასში მონაწილეობდა ლენინგრადელ, რომლებიც პარტიის დაახლოებით 240 ათას წევრს წარმოადგენდნენ, 157-ს ჰქონდა გადაწყვეტი, ხოლო 110-ს — სათათბირო ხმის უფლება. სპეციალური წითელგვარდიული პატრული მთელი დღეღამის განმავლობაში ფხიზლად იცავდა ყრილობის მონაწილეთა უშიშროებას.

ყრილობაზე ერთმანეთს შეხვდნენ ლენინური გვარდიის მებრძოლები, რევოლუციონერთა საუკეთესო ნაწილი. 150 კაცი ცარიზმის საწინააღმდეგო მოღვაწეობისთვის ადრე რევოლუციამდე იყო დაპატიმრებული, ბევრი — 5-ჯერ და უფრო მეტად. დელეგატებმა კატორღაში, ციხეში, გადასახლებაში 485 წელზე მეტი გაატარეს.

შეფისა და დროებითი მთავრობისაგან არაერთხელ განიცადეს რეპრესიები ცენტრალური კომიტეტის 20 წევრმა და წევრობის კანდიდატმა. მათ შორის ვ. ი. ლენინმა, ი. ბ. სტალინმა, ფ. ე. ძერჟინსკიმ, ი. მ. სვერდლოვმა, ვ. პ. ნოგინმა, პ. ა. ჯაფარიძემ და სხვებმა. იძულებითს ემიგრაციაში ხანგრძლივად იმოყოფებოდა VI ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის 9 წევრი.

ნ. რასტოპჩინი, რომელიც კოსტრომის ორგანიზაციამ აირჩია დელეგატად, ახასიათებდა რა იმ ატმოსფეროს, რომელშიც ყრილობა დაიწყო, წერდა: „აქ შეიკრიბა ჩვენი პარტიული ოჯახი, რომლის წევრები ხანგრძლივი განშორების შემდეგ — ციხეებში, გადასახლებაში, კატორღაში, ბოლშევიკურ საბრძოლო პოსტებზე მუშაობის შემდეგ — ძმურად, როგორც მკვდრნი შეხვდნენ ერთმანეთს. ერთად განვიცდიდით ჩვენს შორის ვ. ი. ლენინის არყოფნას, რომელიც გვზრდიდა და გვიჩაზრავდა. და იგი ჩვენთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე მამა“.

დიან, ყრილობაზე, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა პარტიის ისტორიაში, შეიკრიბნენ ლენინური გვარდიის გამობრძმედილი მებრძოლები, რევოლუციონერთა საუკეთესო წარმომადგენლები.

საორგანიზაციო ბიუროს დავალებით ყრილობა გახსნა ერთერთმა უხუცესმა ბოლშევიკმა, 1898 წლიდან პარტიის წევრმა, პოპულარულმა პარტიულმა პუბლიცისტმა, „პრავდის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა მიხეილ ოლმინსკიმ.

პირველ სხდომაზე ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ მქუხარე აპლოდისმენტებით აირჩიეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ყრილობის პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს ხუთი კაცი: ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი, მ. ს. ოლმინსკი, გ. ი. ლომოვი, კ. კ. იურნევი.

დამტკიცდა დღის წესრიგი და რეგლამენტი. მოხსენებისათვის დადგინდა 40 წუთი, საბოლოო სიტყვისათვის — 20 წუთი. ორატორებს პირველი გამოსვლისათვის ეძლეოდათ 15 წუთი, მეორე გამოსვლისათვის — 5 წუთი. ყოველ საკითხზე მხოლოდ ორჯერ შეიძლებოდა ლაპარაკი.

საორგანიზაციო ბიუროს მოხსენება გააკეთა ი. სვერდლოვმა. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელი ხნის მოვლენების გამო ყრილობას მოუხდება იმუშაოს იმ მომხსენებელთა გარეშე, რომელთა ხმას შეჩვეულნი ვართო. რასაკვირველია, იაკობ მიხეილის ძეს უპირველესად მხედველობაში ჰყავდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რომელიც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ისე ხელმძღვანელობდა პარტიის VI ყრილობის მუშაობას. დელეგატები ამბობდნენ, რომ ლენინი უჩინრად იმყოფებოდა დარბაზში. ყრილობის მთელ საქმიანობაში პარტიის ბელადის მძლავრი ხელი იგრძნობოდა. ეშელიან იაროსლავსკი წერდა, რომ მხოლოდ პირობითად შეგიძლია ილაპარაკო ყრილობაზე ლენინის დაუსწრებლობის შესახებ. ნამდვილად კი იგი თვითონ ხელმძღვანელობდა ყრილობას, მონაწილეობდა მის მუშაობაში, ყრილობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები ლენინის მონაწილეობითა და თანხმობით შემუშავდაო.

რაზლივის ტბის გაღმა მასთან ჩადიოდნენ ი. მ. სვერდლოვი, ფ. ე. ძერჟინსკი, გ. კ. ორჯონიკიძე, ე. ა. რახია, ა. ვ. შოტმანი, ვ. ი. ზოფი. როგორც იხსენებენ, რაზლივის უბრალო კარავი ეშშარტად რევოლუციის შტაბი იყო. რაზლივში ყრილობის გახსნამდე ლენინთან ორჯერ ჩავიდა ი. ბ. სტალინი.

ვ. ი. ლენინმა მოამზადა თეზისები „პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“. ბელადის ეს თეზისები და მისი ნაშრომები „ლოზუნგნისათვის“, „რევოლუციის გაკვეთილები“ და სხვები საფუძვლად დაედო პარტიის მეექვსე ყრილობის რეზოლუციებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ გააკეთა ი. ბ. სტალინმა. საანგარიშო მოხსენება ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობის შესახებ გააკეთა ი. მ. სვერდლოვმა. მოისმინეს აგრეთვე ი. სმილგის მოხსენება ცენტრალური კომიტეტის ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ მოხსენებაში ნათლად იყო ნაჩვენები, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ ატარებდა სოციალისტური რევოლუციის, პარტიის VII (აპრილის) კონფერენციის ლოზუნგების განხორციელების კურსს. მასში გაშუქებული იყო ცენტრალური კომიტეტის მუშაობა მისაზი, ივნისის კრიზისისა და 3-5 ივლისის მოვლენების პერიოდში. მთელი ამ დროის მანძილზე ბოლშევიკების პარტია ერთადერთი პარტია იყო, რომელიც სათავეში ედგა მასების კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში და ყველაფერი გააკეთა მუშათა კლასის სწორი მოქმედების უზრუნველყოფისათვის.

ყრილობის მესამე სხდომაზე განიხილეს სასამართლოში ვ. ი. ლენინის გამოცხადების საკითხი. მომხსენებელმა სერგო ორჯონიკიძემ კლასობრივად შეიფასა ბურჟუაზიის ცილისმწამებლური კამპანია პარტიისა და მისი ბელადის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და პეტროგრადის საბჭოს მდუმარე თანხმობის ვითარებაში მიმდინარეობდა და რომლის მიზანი იყო თავი მოეკვეთათ პარტიისათვის. მძლავრად გაისმა მომხსენებლის სიტყვები: „...მათთვის მნიშვნელოვანია რევოლუციური პარტიის რიგებს გამოგლეჯონ რაც შეიძლება მეტი ბელადი. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავცეთ მათ ამხანაგი ლენინი“.

„...ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ პროტესტს ვუცხადებთ იმ ცილისმწამებლურ კამპანიას, რომელიც ჩვენი პარტიის და ჩვენი ბელადების წინააღმდეგ არის მიმართული. ჩვენ მათ არ გადავცემთ კლასობრივად მიკერძოებულ კონტრრევოლუციური ბანდების სასამართლოს“. — ეს სიტყვები ფ. ძერჟინსკის ეკუთვნის.

ყოველმხრივი განხილვის შემდეგ ყრილობამ ერთხმად უარყო ლენინის სასამართლოში გამოცხადება. ყრილობამ მისალმება გაუგზავნა ვ. ი. ლენინს.

დაიწყო ყრილობის ძირითადი საკითხის განხილვა. პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენებაში გარკვევით იყო დახატული რევოლუციის განვითარების სურათი, ნაჩვენები იყო ქვეყანაში

გეზი შეიარაღებული აჯანყებისაკენ

ივლისის დღეების შემდეგ არსებული ძალთა თანაფარდობა. ეყრდნობოდა რა შექმნილი მდგომარეობის ლენინურ ანალიზს, სტალინმა მიუთითა: „რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი დამთავრდა. დადგა შეტაკებათა და აფეთქებათა პერიოდი“.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“, რომელსაც საფუძვლად ედო ლენინის დებულებანი. რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ამჟამად მშვიდობიანი განვითარება და საბჭოების ხელში ძალაუფლების უმტკივნეულოდ გადასვლა შეუძლებელი გახდა, რადგან ძალაუფლება უკვე ნამდვილად გადავიდა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელში.

სწორი ლოზუნგი ამჟამად შეიძლება იყოს მხოლოდ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დიქტატურის სრული ლიკვიდაცია. მხოლოდ რევოლუციურ პროლეტარიატს, უღარიბეს გლეხობის მრავ მხარდაჭერის პირობით, ძალუძს შეასრულოს ეს ამოცანა, რომელიც ახალი აღმავლობის ამოცანას წარმოადგენს“.

ამის წინააღმდეგი გამოვიდა ბუხარინი, რომელიც ამტკიცებდა გლეხებს ბლოკი აქვთ ბურჟუაზიასთან და მუშათა კლასს არ გაჰყვებიან, მხარს არ დაუჭერენ პროლეტარიატსო. ამ მცდარმა დებულებამ დასაბუთებული კრიტიკა განიცადა. ყრილობამ უარყო იგი.

დელეგატებმა განიხილეს და დაამტკიცეს ბოლშევიკების ეკონომიკური პლატფორმა, რომლის ძირითადი დებულებები იყო: მემამულეთა მიწების კონფისკაცია და ქვეყნის მთელი მიწის, აგრეთვე ბანკების, მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია, მუშათა კონტროლი წარმოებასა და განაწილებაზე.

მიმდინარეობდა ყრილობის უკანასკნელი, მეთხუთმეტე სხდომა. განიხილავდნენ რეზოლუციას „პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“. სხდომის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სტალინს. იგი კითხულობს და პუნქტობრივად განიხილავს რეზოლუციას. სულ 9 პუნქტი იყო. სხდომის თავმჯდომარე სვერდლოვი შესწორებებს, რეზოლუციის ყოველ პუნქტს კენჭს უყრის. ამ სხდომის ოქმში აღნიშნულია: „მიღებულია...“ „შესწორება უარყოფილია...“ „ეს შესწორება ზედმეტად მიმაჩნია“, „ამ შესწორების წინააღმდეგი არა ვარ“, „ამ ჩანართის წინააღმდეგი ვარ“, „მსგავსი ჩანართი ტექსტში გაკეთებულია შემდგომ. ამიტომ მოვახსნათ ჩანართი...“ მომხსენებელი უბრალოდ კი არ უარყოფდა, არამედ ასაბუთებდა, ამტკიცებდა.

ისტორიული რეზოლუციის უკანასკნელი, მეცხრე პუნქტი მთავრდებოდა სიტყვებით: „მაშინ ამ რევოლუციური კლასების ამოცანა გახდება მთელი ძალ-ღონის დაძაბვა სახელმწიფო ძალაუფლების თავის ხელში ასაღებად და მის წარსამართავად მოსამუშავებლად აუცილებელია სპეციალური ყრილობის მოწვევა“.

დელეგატთა მიერ დამტკიცებულ პარტიის წესდებაში განზოგადებული იყო პარტიის ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილება. მასში მითითებული იყო, რომ პარტიის ყველა ორგანიზაცია შენდება დემოკრატიული ცენტრალიზმის საწყისებზე. წესდებაში შეიტანეს რამდენიმე ახალი მნიშვნელოვანი პუნქტი.

ყრილობამ პარტიაში მიიღო „მეერთიანელები“ (მენშევიკ-ინტერნაციონალისტების და პარტიას ჩამოშორებული ბოლშევიკ-შემრიგებლების ჯგუფი), რომელიც ჯერ კიდევ 1913 წელს შეიქმნა. ომის დროს მათ ეკავათ ცენტრისტული პოზიცია, თბილისელ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კავშირი გაწყვიტეს მენშევიკობორონცებთან. მათ განაცხადეს, რომ ეთანხმებიან ბოლშევიზმის ყველა დებულებას. მიღებულთა შორის იყვნენ ვოლოდარსკი, იოფე, ლუნაჩარსკი, მანუილსკი, ტროცკი, ურიცკი, იურნევი და სხვები. ბევრი მათგანი ნამდვილად დადგა ბოლშევიზმის პოზიციებზე, აქტიურად და პატიოსნად მუშაობდა პარტიაში. ტროტიტეტი და, ჩვენი პარტიის ისტორიაში პირველად, — სარევიზიო კომისია. ხმებს ყრილობის პრეზიდიუმი ითვლიდა.

ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში 21 წევრი და 10 კანდიდატი აირჩიეს. ცენტრალური კომიტეტის წევრებად აირჩიეს ვ. ი. ლენინი, ა. ს. ბუბნოვი, ფ. ე. ძერჟინსკი, ა. მ. კოლონტაი, ვ. პ. ნოგინი, ი. მ. სვერდლოვი, ა. ფ. სერგეევი (არტემი), ი. ბ. სტალინი, მ. ს. ურიცკი, ს. გ. შაუმიანი და სხვები. წევრობის კანდიდატებად — პ. ა. ჯაფარიძე, ა. ა. იოფე, ე. დ. სტასოვა და სხვები.

გ. კ. როჯონიკიძის წინადადებით, კონსპირაციის მიზნით, გამოცხადებული იყო ცენტრალური კომიტეტის მხოლოდ იმ წევრთა გვარები, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმები მიიღეს. დასახელებულთა შორის პირველი იყო ვ. ი. ლენინი, რომელმაც ხმის მიცემაში მონაწილე 134 დელეგატიდან 133-ის მხარდაჭერა მიიღო. დელეგატები ტაშით შეხვდნენ ამ ცნობას.

ყრილობამ ი. ბ. სტალინის წინადადებით ვ. ი. ლენინი და პარტიის ბევრი სხვა ხელმძღვანელი მოღვაწე დამფუძნებელ კრებაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლებად წამოაყენა.

3 აგვისტოს (ძვ. სტილით) ყრილობის უკანასკნელი, მეთხუთმეტე სხდომა მიმდინარეობდა.

ყრილობის დასახურავად სიტყვას აძლევენ ვიქტორ ნოგინს, 1898 წლიდან პარტიის წევრს, „ისკრის“ აგენტს, 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილეს, ცენტრალური კომიტეტის წევრს: „ჩვენი ყრილობა, ამბობს იგი, უპირველეს ყოვლისა, მოქმედების, ინტერნაციონალისტთა ყრილობაა, პირველი ყრილობაა, რომელმაც სოციალიზმის განხორციელების ნაბიჯები დასახა.

რაოდენ შავბნელიც უნდა იყოს დღევანდელი ვითარება, მას მიმზიდველობას აძლევს სიდიადე იმ ამოცანებისა, რომლებიც ჩვენს წინაშე, როგორც პროლეტარიატის პარტიის წინაშე დგას, რომელმაც უნდა გაიმარჯვოს და კიდეც გაიმარჯვებს.

ახლა კი ამხანაგებო, შევუდგეთ მუშაობას“.

გაისმა მქუხარე ტაში.

ი. მ. სვერდლოვი, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, რსდმპ (ბ) VI ყრილობას დახურულად აცხადებს.

ყველა დელეგატი დგება და მღერის „ინტერნაციონალს“. უკვდავი ჰიმნის სიტყვები ჟღერს როგორც მოწოდება, როგორც ფიცი. ყრილობამ პარტიას უშუალო მიზნად დაუსახა შეიარაღებული აჯანყება, სოციალისტური რევოლუცია!

ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს ყრილობის სახელით შეედგინა მანიფესტი „რუსეთის ყველა მშრომელს, ყველა მუშას, ჯარისკაცსა და გლეხს“. იგი გამოქვეყნდა გაზეთ „პროლეტარში“ და მთავრდებოდა მგზნებარე მოწოდებით: „...ამ შეტაკებაზე ჩვენი პარტია გაშლილი დროშებით მიდის. მას მტკიცედ ეჭირა ისინი ხელში. მას არ დაუხრია ისინი მოძალებელთა წინაშე, რევოლუციის მოღალატეთა და, კაპიტალის მსახურთა წინაშე. ის კვლავაც მაღლა დაიჭერს მათ სოციალიზმისათვის, ხალხთა ძმობისათვის ბრძოლაში, რადგან იცის, რომ დასჭექს ახალი მოძრაობა და დადგება ძველი სამყაროს სიკვდილის ჟამი.

·მაშ ემზადეთ ახალი ბრძოლისათვის, ჩვენო მებრძოლო· ამხანაგებო! მედგრად, მამაცურად და მშვიდად, ნუ აყვებით პროვოკაციას, ამრავლეთ ძალები, დაიწყვეთ მებრძოლ რაზმებად. პარტიის დროშას ,ქვეშ შემოკრებით, პროლეტარებო და ჯარისკაცებო! ნუ ეხები დროშას ,ქვეშ შემოკრებით, სოფლის ჩაგრულნო!“.

ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებები გააცხეს მუშათა კლასის, ჯარისკაცებისა და გლეხთა უფართოეს მასებს. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს საამისოდ.

ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილებზე, ოთხასზე მეტ პარტიულ ორგანიზაციაში გაგზავნა გაზეთები „რაბოჩი ი სოლდატ“, „პროლეტარი“ (ამ სახელწოდებით იმ დროს გამოდიოდა „პრავდა“), რომელშიც იბეჭდებოდა ანგარიშები ყრილობის მუშაობის შესახებ და მისი ძირითადი გადაწყვეტილებანი. პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე, ბოლშევიკური კომიტეტების სხდომებზე მოხსენებებს ყრილობის შესახებ აკეთებდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები. რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა სამხედრო ორგანიზაციამ პარტიის ყრილობის მონაწილეთაგან და პეტროგრადსა და სესტრორეცკის მუშათა წარმომადგენლებისაგან შექმნა დელეგაცია და იგი კრონშტადტში გაგზავნა. დელეგაციას მეთაურობდა ალიოშა ჯაფარიძე. ხალხმრავალ მიტინგს, რომელსაც ბაზის დაახლოებით 15 ათასამდე მეზღვაური, ვიბორგის მხარის, პეტროგრადისა და სესტრორეცკის უამრავი მუშა ესწრებოდა, ჯაფარიძემ მოახსენა ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის შესახებ. მგზნებარე რევოლუციონერის სიტყვას მქუხარე ტაშით შეეგებენენ.

VI ყრილობის გადაწყვეტილებებს ასევე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ბაკოში, თბილისში, კიევში, მინსკსა და სხვა ქალაქებში გამართული მიტინგების, ყრილობების, კონფერენციების მონაწილეებმა.

ბოლშევიკები აღსავსენი იყვნენ ენთუზიაზმითა და გამარჯვების რწმენით. მათთვის ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო. და დაიწყო პარტიის ახალი მღელვარე რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდი. ყველასათვის ნათელი იყო: იწყებოდა ახალი რევოლუციური ეპოქისათვის გადამწყვეტი ბრძოლა.

სწორედ იმ დღეებში, როცა პარტია წყვეტდა თავისი სირთულითა და სიღიადით უდიდეს ისტორიულ ამოცანას, ლენინმა თქვა, რომ „ჩვენ გვწამს მისი, ჩვენ მასში ვხედავთ ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს“.

ერთი რომელიმე ყრილობა სხვა ყრილობის მსგავსი რიდია. „არც ყოფილა; არც არის და არც იქნება ტიპუპის ცალი ყრილობები. ყოველ მათგანს განსაკუთრებული თავისებურება აქვს, თავისი დროის ბეჭედი აზის! და პარტიის VI ყრილობა ჩვენი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დილის ცისკარია, შეიარაღებული აჯანყების მომზადების ყრილობაა. სწორედ ამიტომ სამარადისოდ დამკვიდრდა იგი ისტორიაში.

შ. მახარაძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

ოსტატის დამსახურებული აღმართვა

ცნობილ ქართველ მოქანდაკეს მერაბ ბერძენიშვილს სსრ კავშირის სახალხო მხატვრის სპატიო წოდება მიენიჭა. ეს საქართველოს თანამედროვე სახვითი ხელოვნების მიღწევების, იმ დიდი წვლილის ახალი აღიარებაა, რომელიც მიუძღვის ოსტატს მშობლიური კულტურის აყვავებასა და აღმავლობაში. მის ნამუშევრებში, როგორც ფოკუსში, კონცენტრირებულია ხალხური ხასიათის სიუკეთესო ნიშნები, ძველი ქართველი ჰუმანისტი ოსტატების ტრადიციები და, ბოლოს, თვით მხატვრის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილება, რომელმაც შექმნა იდეებისა და სახეების ორიგინალური სამყარო. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებები ამშვენებენ რესპუბლიკის ქალაქებს, ამაყად აღმართულა მის მიერ შესრულებული რუსთაველის ბრინჯაოს ფიგურა მოსკოვში.

ცნობას იმის შესახებ, რომ მერაბ ბერძენიშვილს სსრ კავშირის სახალხო მხატვრის სპატიო წოდება მიენიჭა, სიხარულით შეხვდა მისი შემოქმედების მრავალი დამფასებელი. ქართველი ხელოვნების მოყვარულნი სულითა და გულით ულოცავენ ოსტატს დამსახურებულ აღიარებას და უსურვებენ ახალ შემოქმედებითს წარმატებებს ჩვენი მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის სასიქადულოდ.

ამჟამად მერაბ ბერძენიშვილი მუშაობს მემორიალზე, რომელიც დიდგორის ბრძოლის ადგილას დაიდგმება. ილიას იუბილესთან დაკავშირებით მერაბ ბერძენიშვილი აქანდაკებს მის ძეგლს, რომელსაც უსასყიდლოდ გადასცემს საქართველოს კულტურის ფონდს, ეს უკანასკნელი კი ასევე საჩუქრად დაუდგამს ქალაქს ჭავჭავაძის პროსპექტზე.

(საქინფორმი).

სურათზე: სსრ კავშირის სახალხო მხატვარი მერაბ ბერძენიშვილი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

„საქართველოს „კომუნისტი“ № 8

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. იაკოვლევის მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი სტატია „საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევა და საზოგადოებრივი მეცნიერებანი“. რუბრიკით „სოციალიზმის სრულყოფის პრობლემები“ დაბეჭდილია მასალები: ნ. ხერცლავაანი — „ადამიანის აქტივიზაციის გზით“ და გ. ატამანუკისა — „მართვის სოციალური ეფექტიანობის შესახებ“. ვ. დევდარიანის წერილი „შეიარაღებული აჯანყების კურსით“ (რსდმპ (ბ) VI ყრილობის 70 წლისთავი), „რევოლუციის ნაბიჯების ქრონიკა“, აგრეთვე ნ. კოტახიძის მასალა „ობიექტური აუცილებლობა“ დაბეჭდილია რუბრიკებით „70 წელი ოქტომბრის გზით“ და „პარტიული ცხოვრება“.

„სამეურნეო საქმიანობის ახალი პირობები: პრობლემები, გადმოცდილება, მეთოდოლოგია“ — ამ რუბრიკით ჟურნალი ბეჭდავს ს. კოჩიევის წერილს „მართვის ეკონომიკური მეთოდები და სამეურნეო პრაქტიკა“.

ა. ადეიშვილის — „მშენებლობაზე ახალგაზრდების შრომის პრობლემები“, რ. ფაჩულიას — „განათლების სისტემის მართვისათვის“ და ა. ბერიძის — „აღზარდოთ პატრიოტები“ წერილებს გაეცნობით რუბრიკით „ახალგაზრდობა — იმედი ხვალის“.

საერთო სატკივარის — ადამიანისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმია მიძღვნილი მ. მაკაროვასა და გ. რურუას მასალები: „დავიცვათ მტკვარი გაჭუჭყიანებისაგან“ და „ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა, შედეგი კი“...

რუბრიკით „სოციალისტური ცხოვრების წესის განსამტკიცებლად“ გაეცნობით მ. ნაკანის წერილს „ტრადიცია და თანამედროვეობა“.

აქვე განყოფილებაში „დიალოგი მკითხველთან“ გაეცნობით საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ქუთაისელ საზოგადოებათმდოცხეებთან რედაქციის თანამშრომელთა შეხვედრის ანგარიშს.

6 აგვისტო ● საკდესი იუწყება

ᲣᲙᲡᲝᲤᲘᲡᲨᲘ

ფაქტები • მოვლენები

ე. ა. შევარდნაძე ქენევას გაემგზავრა

5 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე მოსკოვიდან გაემგზავრა ჟენევაში, სადაც განიარაღებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გამოვა.

მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს განცხადება

ჰელსინკი. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ 5 აგვისტოს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ღრმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ შეერთებულ შტატებში აწამებენ ამერიკელ ინდიელთა თავისუფლებისა და უფლებების დამცველს ლეონარდ პელტიერს. სხვადასხვა ორგანიზაციებმა რამდენჯერმე შეიტანეს მისი საქმე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისის განსახილველად.

ამჟამად, ნათქვამია დოკუმენტში, პელტიერს, რომელიც უკანონო პატიმრობაში ჰყავთ, მხედველობის დაკარგვის სერიოზული საფრთხე შეექმნა.

ხ. პერმს დე კუელიარს „მოსახლეობის საათი“ გადაეცა

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ნაფის სადიკმა ოთხშაბათს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს გადასცა „მოსახლეობის საათი“. ეს საათი აჩვენებს მსოფლიოში და ორგანიზაციის წევრ ყოველ ქვეყანაში მოსახლეობის საერთო რაოდენობას.

როგორც სადიკმა აღნიშნა, ეს საათი ნაწილია მოსახლეობის პრობლემებისადმი მიძღვნილი კამპანიისა, რომელსაც ორგანიზაციის ფონდი აწყობს დედამიწაზე მეხუთმილიარდე მცხოვრების გაჩენის აღსანიშნავად. ასეთი საათები ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს მეთაურებს დაურიგდებათ.

საათი დაამზადა იაპონიის „სეიკო ინსტრუმენტსის“ ფირმამ. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების გაანგარიშების საფუძველზე ასახავს დედამიწის მოსახლეობაში ყოველი 60 წამში მომხდარ ცვლილებებს. საგაგრო ტიპის ეს საათი ჩვეულებრივ ფუნქციებსაც ასრულებს — უჩვენებს დროს, კვირის დღეებს, თვეებს, წლებს.

გამოხმაურებანი ჩისანოს ვიზიტის გამო

ბაკუტი. საბჭოთა კავშირში ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარის, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟოაკიმ ალბერტუ ჩისანოს ოფიციალური მეგობრული ვიზიტი მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია. მოსკოვში გამართული მოლაპარაკება, აღნიშნავს მოზამბიკის რადიო, „დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა“. რადიოს კომენტარებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ჟ. ჩისანოს სიტყვებს კრემლის დიდ სასახლეში გამართულ სადილზე. მოზამბიკის საინფორმაციო სააგენტო აიმი ხაზს უსვამს, რომ სსრ კავშირი და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკა ერთიანი ფრონტით ილაშქრებენ დიქტატის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანია ძირი გამოუთხაროს ყოველი ხალხის კანონიერ უფლებას დამოუკიდებლად აირჩიოს თავისი ქვეყნის განვითარების გზები და ფორმები.

საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის მოლაპარაკება, წერს გაზეთი „ნოტიციასი“, ეძღვნება ორმხრივი ურთიერთობის მრავალფეროვან ასპექტებს. სსრ კავშირისა და მოზამბიკის თანამშრომლობა წლების მანძილზე ვითარდება. იგი მოიცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ფრელიმოს პარტიის, ორი სახელმწიფოს მთავრობებისა და ხალხების მრავალგვარ კავშირურთიერთობას. საგულისხმოა, რომ ჟ. ჩისანოს ვიზიტი მოსკოვში მიმდინარეობს სხვადასხვა დარგში ორმხრივი ურთიერთობის მყარი საფუძველის — სსრ კავშირისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ათი წლის თავზე.

ნიუ-იორკი. „გლობალური მოქმედების მომხრე პარლამენტარების“ საერთაშორისო საზოგადოებრიგმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მოწოდებას მოიწვიონ კონფერენცია, რომელიც გააფართოებს ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების მოქმედებას, რომელსაც ხელი მოაწერეს 24 წლის წინათ მოსკოვში.

კონფერენციას შეეძლო მიეღო უკვე მოქმედი ხელშეკრულების შესწორებები და გამოეცხადებინა გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვა, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინაში გამართულ კონფერენციაზე ორგანიზაციის თავმჯდომარემ ოლავურ გრინსონმა (ისლანდია). მან თქვა, რომ კონფერენციის მოწვევას, რომელიც რეალურ განიარაღებაში საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითი იქნება, მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 122 წევრმა სახელმწიფომ. თუ მოსკოვის ხელშეკრულების დეპოზიტარი ქვეყნები ვალდებულებას იკისრებენ შეწყვეტონ ბირთვული აფეთქებანი სამხედრო მიზნებისათვის, ეს სამაგალითო იქნებოდა ყველა დანარჩენი ბირთვული და უბირთვო სახელმწიფოსათვის, აღნიშნა მან.

ბირთვული იარაღის გამოცდის სრულ და საყოველთაო აკრძალვას უწინდებურად ის აბრკოლებს, რომ ვაშინგტონს პოლიტიკური თვალსაზრისით არ სურს ეს, თქვა პოლ უორნკემ, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებაზე ამერიკის დელეგაციის ყოფილმა მეთაურმა. ამის საწინააღმდეგოდ საბჭოთა კავშირი ნიადაგ ცხადყოფს, რომ მზად არის მთლიანად თქვას უარი ბომბებზე. ყველა ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმი, რომელიც წელიწად-ნახევარზე მეტს ხანს გრძელდებოდა, შეთანხმების დაცვისადმი კონტროლის გზაზე დაბრკოლებათა აღმოფხვრა მოწმობს, რომ სსრ კავშირი გულწრფელად არის დაინტერესებული, ბირთვული იარაღის მოსპობით.

პარლამენტარები იგრძვიან ბირთვული გამოცდების აკრძალვისათვის

◆ **იტალია**

გორიას მთავრობამ ნდობის ვოტუმი მიიღო

რომი. ქრისტიანი დემოკრატის ჯოვანე ჯუზეპე გორიას მიერ შექმნილმა იტალიის მთავრობამ ოთხშაბათს ნდობის ვოტუმი მიიღო ქვეყნის პარლამენტის დეპუტატთა პალატაში. ახალ კაბინეტს მხარი დაუჭირა 371 დეპუტატმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 237 დეპუტატმა. ისევე როგორც გასულ კვირას სენატში, მთავრობას ფაქტობრივად ხმა მისცეს მხოლოდ იმ პარტიების დეპუტატებმა, რომლებიც შეადგენენ მმართველ კოალიციაში.

მიიღო რა ნდობის ვოტუმი პარლამენტის ორივე პალატაში, მთავრობა, რომლის შემადგენლობაში შედიან ქრისტიანულ-დემოკრატიული, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, რესპუბლიკური და ლიბერალური პარტიების წარმომადგენელები, ახლა ოფიციალურად შეუდგა თავისი მოვალეობების შესრულებას. გამოცხადდა, რომ მინისტრთა საბჭოს პირველი სხდომა პარასკევს გაიმართება.

კენჭისყრას წინ უსწრებდა სამდღიანი კამ

ᲝᲠᲘᲝᲓ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

☐ ᲜᲐᲡᲐᲙᲘᲠᲐᲚᲘᲡ ჩაის აგროსამრეწველო კომბინატში უკვე მეშვიდე ატარებს შრომითს სემესტრს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის შრომითი რაზმი „აღიონი — 87“.

რაზმმა თავის რიგებში ჩარიცხა ავღანეთში ინტერნაციონალური ვალის მოხდის დროს მამაცურად დაღუპული ნასაკირალელი ზურაბ მახარაძე და უანგაროდ ეხმარება მის ოჯახს.

სტუდენტებმა უკვე 3 ათას მანეთამდე ღირებულების სამუშაოები შეასრულეს ჩაის აღანტაციებში და გადაწყვეტილი აქვთ სეზონში 5 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულონ.

☐ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ სამუსიკო სკოლას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს სიგუღდის (ლატვიის სსრ), ალავერდის (სომხეთის სსრ) პირველ, მოსკოვის ოცდაშესამე და თბილისის მერვე სამუსიკო სკოლებთან.

გასულ წლებში შეხვედრები მოეწყო მოსკოვში, ალავერდში, თბილისში, ამჯერად კი მეგობრებმა ზესტაფონში მოიყარეს თავი.

ყოველ შეკრებაზე მეგობრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ეცნობიან მოსწავლეთა შემოქმედებას, საუბრობენ სამომავლო გეგმებზე, ინტერნაციონალური მეგობრობის გაღრმავებაზე, სასწავლო პროცესების სულყოფასა და სხვა საკითხებზე.

შეხვედრები ყოველთვის კონცერტით მთავრდება. ახლაც ზესტაფონის სამუსიკო სკოლის სააქტო დარბაზში ერთმანეთს ცვლიდა ქართული, რუსული, ლატვიური და სომხური შეღლიები, მოსწავლეები ასრულებდნენ კლასიკოსთა ნაწარმოებებს.

☐ ᲝᲠᲒᲘᲜᲐᲚᲘᲡᲣᲠᲘ ბუდეებით დაამშვენეს მერცხლებმა ოთხარეული (გუდაუთის რაიონი) კოლმეურნის საღის ჯოხაძის ორსართულიანი სახლის ღია ვერანდის შიგნითა კედელი. ამ გაზაფხულზე აქ ბინა დიდი 28 ფრთოსანმა, ოცდამეცხრემ კი, რომლისთვისაც ადგილი არ აღმოჩნდა კედელზე, ბუდე აბაჟურქვეშ გაიკეთა.

ასე ცხოვრობენ მეცხლები ადამიანებთან ერთად ერთ ჭერქვეშ. ყოველ ბუდეში უკვე დაიჩეკა ბარტყები, და მერცხლების „კონცერტები“ გამთენიიდან საღამომდე არ წყდება. თითქოს მათ სიმშვიდეს იცავენო, ვერანდაზე ბინა დაიდეს კავკასიურმა ნაგაზმა „გოგომ“ და კატა „აისამ“.

ოჯახის საჭმაზე გადაწყვეტეს, ვერანდა ალარ შემინონ — მომავალ გაზაფხულზე ხომ მერცხლები კვლავ დაბრუნდებიან ბუდეებს.

☐ ᲡᲝᲩᲘᲡᲘ მუხური თავისი კლიმატური პირობებითა და უღამაზესი ხეობით მთელ რეგიონშია ცნობილი. ზაფხულში აქ თავს იყრის უამრავი დამსვენებელი, უმეტესად ბავშვები, ჩხოროწყუსა და მეზობელი რაიონების საბავშვო ბაღების დიდი ნაწილი აქ ჩამოდის დასასვენებლად, იმართება პიონერთა ბანაკები.

ახლახან აქ გაიხსნა კეთილმოწყობილი, ჩინებულად ნაგები 300 ადგილიანი პიონერთა ბანაკი. კომპლექსს ამშვენებს სამ ორსართულიანი საძინებელი კორპუსი, კლუბის კაპიტალური ნაგებობა, სასადილო, ბანაო და მარტივი ტიპის სპორტული მოედანი.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, Ა/ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66,10, ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲬᲠᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 93-22-93, ᲚᲝᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲛᲬᲔᲚᲝᲒᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲐᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲬᲠᲐᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲐᲓᲝᲒᲠᲐᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ — 93-95-68.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲝᲩᲘᲡᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-28-86; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ — 2-03-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-63; ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ — 25-82; ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ — 45-32.





ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲘᲕᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲛᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲣᲚᲝ ᲙᲐᲠᲘ ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ

ᲬᲧᲚ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღები გამოცდების მარათონში დაახლოებით 9000 აბიტურიენტი ჩაბა. და მხოლოდ 2175 საუკეთესო შეავსებს სექტემბერში რესპუბლიკის უძველესი უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიებს.

გაიზარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლი, სახალხო მეურნეობა ელის ფიზიკოსებისა და მათემატიკოსების, ქიმიკოსებისა და ეკონომისტების ახალ შევსებას. აი, რატომ გვახარებს დიდი კონკურსი ამ ფაკულტეტებზე.

არ კლებულობს ახალგაზრდობის ინტერესი ჰუმანიტარული სპეციალობებისადმიც. კერძოდ, წელს ისტორიის ფაკულტეტზე ერთ ადგილზე თითქმის ოცი კაცი მოდის.

— გვინდა აღვნიშნოთ შარშანდელთან შედარებით გაზრდილი ინტერესი გეოლოგიის სპეციალობებისადმი. აქ კონკურსმა პირველად მიაღწია ერთ ადგილზე სამ-ხუთ კაცს, — თქვა უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ამაღლობელმა.

6 აგვისტოს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის საგამოცდო აუდიტორიებმა პირველები მიიღეს ორი ფაკულტეტის — იურიდიული და ვაჭრობისა და საქონელმცოდნეობის ეკონომიკის ფაკულტეტების აბიტურიენტები. პირველი გამოცდების შედეგებს ისინი მეორე დღესვე შეიტყობენ. ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკა დაგვეხმარება ოპერატიულად დავამუშაოთ ყველა მონაცემი.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

• • •

Ფ. ᲙᲠᲘᲛᲡᲙᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ.

ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲑᲒᲔᲠᲐ

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ, 5 აგვისტო (საქინფორმის სპეც. კორ.). ლინგვისტურ პრობლემებზე სხვადასხვა თვალსაზრისის დაახლოება — ასეთი მიზანი დაისახეს ფონეტიკური მეცნიერებებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებმა, რომელიც აქ გაიხსნა.

ფორუმზე მოხსენებებით და ინფორმაციებით გამოვა 800-ზე მეტი მეცნიერი ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის 32 ქვეყნიდან.

ესტონურად მიესალმა სათვალავით მეთერთმეტე საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს მისი პრეზიდენტი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. ილაპარაკა რა შემდეგ ინგლისურად ამ წარმომადგენლობითი მეცნიერული ფორუმის მიზნებსა და ამოცანებზე, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იკრიბება, მან თქვა:

— ეს კონგრესი ლინგვისტების ყველაზე დიდი ფორუმია, რომელიც კი ოდესმე საბჭოთა კავშირში გამართულა. პირველი ფორუმი ამსტერდამში მოეწყო 1942 წელს, და მას შემდეგ ამ შეკრებებმა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეცნიერთა თავისუფალი და ნაყოფიერი ურთიერთობის სახელი მოიხვეჭა. მეცნიერება დღეს ვერ ჭეშმარიტ კარჩაკეტილობას, იგი სხვადასხვა კოლეგიუმის შეჯერებით, სინთეზით სარდოობს. შეუძლებელია რამდენადმე სერიოზული წარმატების მოპოვება, თუ არ იცი სხვა ქვეყნების მეცნიერთა თვალსაზრისი, ყურადღებით არ ადევნებ თვალს სხვადასხვა მიმართულების განვითარებას ლინგვისტიკაში. ეხათმეცნიერება დღეს ინტერდისციპლინურია. აი, ამიტომ მოიყარეს აქ თავი ფილოლოგებმა, კიბერნეტიკოსებმა, მათემატიკოსებმა და იმათ, ვინც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის მუსიკალური ფოლკლორის ფსიქოაკუსტიკური თავისებურებებს სწავლობს. კონგრესის დისკუსიების პროგრამაშია ფონეტიკურ მეცნიერებათა განვითარებაში ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების პერსპექტივები და ტენდენციები.

საქინფორმის კორესპონდენტი-სათვის მიცემულ ინტერვიუში პროფესორმა გამყრელიძემ თქვა, რომ კონგრესის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თემაა ადამიანისა და კომპიუტერის კომუნიკაციის თეორიული და გამოყენებითი პრობლემები. მან აღნიშნა, რომ ფონოლოგია, როგორც მეცნიერება, რუსეთში იშვა ამ საუკუნის დამდეგს და მის ფუძემდებლად უნდა მივიჩნიოთ ბოდუენ დე კორტენე და რომან იაკობსონი. მათ მიერ შექმნილი ფონოლოგიის საფუძვლები დასავლეთის ქვეყნებში გადავიდა, მერე კი საბჭოთა მეცნიერებს დაუბრუნდა სხვადასხვა ინტერპრეტაციით. ასე მჭიდროდ არის შეკავშირებული მეცნიერული სამყარო, რომელშაც გეოგრაფიული საზღვრები არ იცის.

— რად სწავლობენ ადამიანები მეტყველებასა და მის ყღერადობას? ფონეტიკური მეცნიერება არც ისე აბსტრაქტულია, როგორც კაცს შეიძლება ერთი შეხედვით მოეჩვენოს. იგი უკვე დღეს აძლევს პრაქტიკოსებს სავსებით კონკრეტულ, ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა დარგში გამოსადეგ შედეგებს: პედაგოგიკას ეხმარება ბავშვებისათვის სწორი მეტყველების სწავლებაში, მედიცინას — დეფექტოლოგიაში, თვისი წვლილი შეაქვს კომპიუტერული ენების და ადამიანისა და ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის მეტყველებითი დიალოგის განვითარებაში. ენა განსაკუთრებული სახის სისტემაა და თვით მისი დანიშნულება ადამიანების კონტაქტის სამსახურია. თანამედროვე ენათმეცნიერება მჭიდროდ თანამშრომლობს კიბერნეტიკასთან, მათემატიკასთან, ფოლკლორისტიკასთან.

კონგრესი 8 აგვისტომდე განაგრძობს მუშაობას. მის მონაწილეებს, დისკუსიებისა და დაძაბული პლენარული სხდომების გარდა, ელით მოგზაურობა ტარტუში და ლაპემაასის ეროვნულ პარკში.

ᲡᲣᲚᲘᲡ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ

„ᲑᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ, ჩემო შთამომავლობავ! გელაპარაკებით მეზღვაურთა რაზმის კომისარი. ქალი კომისარი; თქვენს თაობას არ გაუკვირდება, ჩვენს დროში კი ეს იშვიათი მოვლენა იყო — რევოლუციამ მიიტანა... რევოლუცია ჩვენთვის იყო ისეთი წარმტაცი, აუცილებელი ქარიშხალი, რომელიც ჩვენი რწმენით წაშლიდა დედამიწაზე ყოველივე უბედურებასა და უსამართლოებას, ჩვენ ისინი ვყავთ ვინც მიატოვა უზრუნველი ცხოვრება კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის.

...ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენმა შთამომავლობამ შეცდომად ჩათვალოს ჩვენი თავგანწირვა და ჩვენი მსხვერპლი“...

„მე მინდა ამ საღამოს შენ გიპასუხო იმ შეკითხვაზე, რომლითაც არაერთხელ მოგიმართავს ჩემთვის, შენ გაინტერესებს, რატომ დავრჩი მე მარტოდ-მარტო ამ ცხოვრებაში“...

...„მე ისევ საავდმყოფოში ვარ და ალბათ ამჯერად ველარ დავაღწევ თავს? რას იზამ.. ვარდისფერი და უდარდელი რომ ყოფილიყო ჩემი ცხოვრება, დამენანებოდა, მაგრამ მე ხომ თვითონ არაერთხელ მოვიდოდმე მისი მიტოვება: ერთხელ შემეშინდა, ერთხელ გადავიფიქრე, ერთხელ კი შეგობარმა გადამარჩინა. ორი წუთიც და, ის რომ არ მოსულიყო, ალარ ვიქნებოდი. ბედი გქონიაო, მითხრა მან, როცა მიხვდა როდის შემომსწრო. ამის შემდეგ დაიბადა ჩემი პირმშო. ბავშვი არა, ბავშვი მე ალარ მყოლია, სიმღერა! „ჩემო მეგობარო, ლუსიენ“...

ამ ფრაგმენტებს ვერსად ვერ ამოიკითხავთ, ისინი მსახიობის სულის პალიმფსესტზე წერია, მსახიობისა, რომელიც ხან კომისარი ქალის პირით გვესაუბრება (ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“), ხან ნიკო ფიროსმანაშვილის მარგარიტას აამეტყველებს, ხან ფრანგი მომღერალი ქალის ედიტ პიაფის სატკივარზე ლაპარაკობს, ხანაც ნინო ზარეჩნაიად მოგვევლინება (ა. ჩეხოვის „თოლია“).

სამი წლის წინათ დაიბადა ცნობილი ქართველი მსახიობის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მედეა ჯაფარიძის წარმოსახვაში ერთი მსახიობის თეატრის ეს რეპერტუარი. — ერთ საღამოში გამოვლენილი მისი მრავალსახეობა საინტერესო და ამაღელვებელი აღმოჩნდა არა მარტო ქართველი, არამედ სხვა ეროვნების მაყურებლისთვისაც, რადგან აქ აუცილებელი აღარ იყო მთარგმნელი — თვით მსახიობი იყო თარჯიმანი თავისი გმირებისა. იმ გმირებისა, რომლებმაც მხოლოდ მის წარმოსახვაში შეისხეს ხორცი — აკი ასეც დაარქვა საღამოს: „იმპროვიზაცია გასუხორციელებელ როლებზე“...

— ყოველი მათგანის ცხოვრება თითო მონოლოგში მოვაქციე, რაც სულიერი მოთხოვნილება იყო, ხან რაღაცას ვაკლებ, ხანაც ვუმატებ, — გვითხრა ერთხელ თვითონ და მართლაც ასეა! როგორ ჭვაწს, როგორ ეხათესავება ეს სწრაფვა ნინო ზარეჩნაიას სასოწარკვეთილ ამოძახილს: „მე თოლია ვარ, თუმცა არა; მე ვარ აქტრისა!“

დიახ, აქტიორი, აქტრისა — მოქმედების გამომხატველი ცნებაა უპირველეს ყოვლისა, და მედეა ჯაფარიძე, როგორც ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი, ვერ ურიგდება უმოქმედობას — აი მიზეზი იმპროვიზაციული მონოლოგების შეთხზვა-გათამაშებისა. მსახიობს ენანება ფუჭად მოცდენილი დრო, როლიდან როლამდე ლოდინში გაღეული დღეები. მასალა — საკუთარი თავი ხომ მის ხელთაა და ის თვითონ ხდება დამდგმელიც, ტექსტისა და კოსტიუმების ავტორიც, წარმოსახავს იმათ, ვისზედაც ბევრჯერ უფიქრია და თუ სამი მათგანის სათქმელი თვით შეთხზა (საერთო შინაარსიდან და ხასიათიდან გამომდინარე), ნინო ზარეჩნაიას მონოლოგი კომპოზიციაა. სულ მოლად თეთრებით შემოსილი მედეა-ზარეჩნაია, მართლაც თოლიასავით გამოჩნდება (მას, როგორც პიესაში ამბობს ნინო, თოლიასავით იზიდავს ტბა) იწყებს მონოლოგს, უფრო კი წინასწარმეტყველივით ქადაგებს იმაზე, თუ რა მოხდება ორასი ათასი წლის შემდგომ... როცა აღარავინ და აღარაფერი აღარ იქნება ამქვეყნად, ყველაფერი ჩაკვდება და ჩაიფერფლება.

...„უკვე ათასობით საუკუნე გასულა მას აქეთ, რაც დედამიწაზე აღარავითარი სულდგმული არ ჰკვანებს და ეს საბრალო მთვარე ამაოდ ანათებს, აღარც წერობი აღვიძებენ მინდვრად შეყიელებით და აღარც მაისის ზოპოების ზუზუნი ისმის ცაცხვების ტევრში. ცივა, ცივა, ცივა... სიცარიელე სუფევს ირგვლივ — საშინელებაა, საშინელება“...

როგორი განგაში იგრძნობა ამ ნაწყვეტში, როგორ გამოხატავს იგი ჩვენი დროის ადამიანთა საერთო შიშს ქვეყნიერების შომავლისათვის... და ნაწყვეტი, რომელიც პიესაში ახირებული, მსახიობობას მოწადინებული გოგონას პათეტიკურ, დეკადენტურ მონოლოგად ჩათვალეს, მედეასეულ პრიზმაში მწვავე თანამედროვე ჟღერადობას იძენს, სადღეისო და ერთ-ერთი — მარგარიტას მონოლოგი, მსახიობის შემოქმედებით საღამოშიც ორიგინალურად ჩაჯდა შარშან (რეჟისორი — მედეა კუკუჩხიძე) და მთელი საღამო იმდენად საინტერესო, ახლებური და დინამიკური იყო, რომ ერთ სპექტაკლად ღირდა. ამიტომაც წერს ჟურნალ „თეატრის“ ფურცლებზე თეატრმცოდნე ო. დუბინსკაია; „ძალზე დასანახი იქნება მედეა ჯაფარიძის საიუბილეო სპექტაკლი რომ ალარ განმეორდეს. ხომ შეიძლება თეატრის რეპერტუარში მისი შენარჩუნება. თუნდაც მოსკოვური და ლენინგრადული, განვავთ სხვა ქალაქებში გასტროლების დროს მისი ჩვენება“.

და აი, მოსკოველებმა ახლახან მართლაც იხილეს მედეა ჯაფარიძის მონოსპექტაკლი, რომელიც გაიმართა მსახიობის ცენტრალურ სახლში. 15 წლის წინათ ამავე სახლში გაიმართა ქართველი მსახიობი ქალის შემოქმედებითი საღამო, რომლის შესახებაც ელენე გოგოლევამ გულწრფელად აღიარა, ამ წუთებმა გაგვაახალგაზრდავაო.

აქვე გამართა რამდენიმე წლის წინ მედეა ჯაფარიძემ პოეზიის საღამო (ესეც საკუთარი კომპოზიცია საინტერესო მოგონებებითურთ, რომელიც არა მარტო პოეზიის საღამოდ, მოქალაქეობრივ აქტად აღიარეს) და აი, მესამე და სრულიად განსხვავებული ასეთი ტიპის საღამო ჯერ აქ არ ყოფილა, აღიარებდნენ ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი.

მათი გულითადი სიტყვების ფირზე ჩანაწერი თუ წერილობითი გამოხმაურება საკავშირო თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის საშუალებით მივიღეთ, და მკითხველებსაც გვინდა გავუზიაროთ იმ დიდი შთაბეჭდილების ფრაგმენტები — მათ ქართველი ხელოვნებისადმი მაღლიერებისა და აღტაცების გრძნობა აერთიანებს:

ს. ობრაზცოვი—რეჟისორი: დღეს რაც ვნახე, ჭეშმარიტად ჩინებული! მე მინახავს იმპროვიზაციები ნათამაშებ ანდა რეპეტიციაგავლილ, მაგრამ განუხორციელებელ. როლებზე... არ მინახავს!

რაც მთავარია, არტისტულადაც და აზრობრივადაც ძალზე საინტერესოა. ამ ხნის კაცი ვარ და მერწმუნეთ, ეს დიდებული რამაა.

ს. ბარაკონი — თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი: ჩვენ გვიყვარს ეს სახლი და ხშირად ვართ ხოლმე აქ. გვიყვარს ეს წმინდა კიდლები, რომლებიც მოსწრებიან ყოველივე საუკეთესოს, რაც მოსკოვსა თუ მოსკოვს გარეთ შექმნილა.

ჩვენი დროის ყველა დიდი მსახიობი გამოსულა აქ, რანაირი საღამოები არ გამართულა, მაგრამ მენდეთ, რომ მსგავს რამეს არც ერთი ჩვენგანი არ მოსწრებია — მე ამ საღამომ შემძრა. როგორც ობრაზცოვმა ბრძანა, „ეს მართლა ძახილია, შშვენიერი აქტიორული სულის ძახილი!“. აქ თავი მოუყრია ყოველივე დღემდე არსებულს, იმას, რაც თავის შემოქმედებითი გზის სხვადასხვა მონაკვეთში დაუგროვებია მსახიობს და ახლა ასეთი უჩვეულო ფორმით, ასეთი მონოლოგების სახით გადმოიღვარა.

ე. ზავადსკი — რეჟისორი: ეს ზეიმი, ეს ატმოსფერი, ეს მსახიობი, ეს ხელოვანი რაღაც სასწაულებრივ ძალას შეუქმნია — ეს ინტელიგენტურობის უმაღლესი გამოვლინებაა — იგი გიპყრობთ, გიღელვებთ და უდიდესი მადლიერების გრძნობით აღგავსებთ. თანდაყარ რწმუნდებით, რომ თქვენ ერთადერთი და განუმეორებელი საღამოს მონაწილე ხართ. იგი ჭეშმარიტი მსახიობია, რომლის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს:

ი. ვაისფელდი — ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი: გასაოცარი მოგვიანებულხარ, ჩემ ადამიანებს უფრო მეტად უყვარდეთ მზე და არ გაწყდეს ხელოვნებისა და ცხოვრების მარადიული კავშირი.

დღეს ჟურნალ „თეატრის“ იუბილეა, და მიუხედავად ამისა, ამ დარბაზს ეს არ დასტყობია. შემოდიხარ აქ და გრძნობ, რომ ყველა ახლობელი და საყვარელია — თქვენც ისეთივე მშვენიერი ხართ, როგორც ამ 25 წლის წინათ და ჩვენთვის ყოველთვის ასეთი უჭკობი იქნებით, რადგან თქვენ ნიჭიერი შემოქმედი ბრძანდებით, ბუნების უკადეგების ნაწილი. გვიწვევთ შემოდგომაზეც, რომ სხვებმაც იხილონ თქვენი ხელოვნება, თქვენ უყვარხართ მოსკოვს!

ი. ვარშავსკი — კინომცოდნე, პროფესორი: მედეა ჯაფარიძის საღამოს განსაკუთრებული ღირსება ის არის, რომ მან თამამად გაუღო თავისი სახელოსნოს კარი თავის ამჟრეს — მოსკოველ კოლეგებს. ამ საღამომ მოიზიდა მოსკოვის თეატრალური სამყაროს გამოჩენილი ოტტატები: მსახიობები, რეჟისორები, მწერლები. მეც ვეთანხმები ს. ობრაზცოვს აღტაცებულ სიტყვებს, რომ მსგავსი შთაბეჭდილება ჩვენი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არ განგვიცდია — ეს მსახიობის მხრივ შემოქმედებითი თვითწყვდომის შედეგია. მეც ბევრი შემოქმედებითი საღამო მინახავს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ახლა გავხდი ეშმარიტი იმპროვიზაციის მოწმე... რაოდენ ახლობელი აღმოჩნდა ქართველი მსახიობისათვის ფრანგი მომღერლის ედიტ პიაფის სახე — ისევ ცხოვრების განსხვავებული აღქმა— შშვენიერისა და ტრაგიკულის შერწყმა, ამღერებული, სიყვარულის მადიდებელი სულის ამოძახილი. მედეა ჯაფარიძემ კი არ შეასრულა ეს როლი, არამედ შექმნა ედიტ პიაფი. კიდევ და კიდევ მადლობა ასეთი გარდასახვისათვის, ყოველი სახის ასეთი გასაოცრად ზუსტი მონახაზისათვის, ფაქიზი ტაქტისათვის, ნიჭიერი, გონიერი საღამოსათვის, რომლის შთაბეჭდილებაც წარუშლელია!

— რით დამთავრდა ეს შშვენიერა საღამო?

— მე დავესესხე ისევ პოეზიას, ტიციან ტაბიძის ლექსი წავიკითხე ჩვენი „მრავალჟამიერის“ ფონზე.

...თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე... — მოსკოველებისათვის ეს ვაჟაკაცური ლექსიც ნაცნობი და საყვარელია!

ასე გაერთიანდა ერთ საღამოში თეატრალური და პოეტური განცდის შშვენიერება.

ᲜᲐᲜᲐ ᲦᲕᲘᲜᲔᲤᲐᲫᲔ.

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲘᲝᲓᲔ დღეც და, საქართველოს ქალაქებში დამთავრდება სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობანი.

თბილისში მიმდინარე ჩოგბურთელთა შეჯიბრებაზე ერთეულთა შორის მერვედფინალურ მატჩებში მონაწილეობის უფლება ჩვენი რესპუბლიკის ხუთმა წარმომადგენელმა მოიპოვა: გოგონათა შორის არიან თამარ ბერიძე და ანა გასპაროვა, ჭაბუკებში — ბექა ძაგანია, მიხეილ მღებროვი და დავით ოძელაშვილი.

თბილისშივე ასპარეზობენ წყალმხტომელები. პირველ დღეს გოგონათა შორის მოეწყო შეჯიბრება საბაზო პროგრამით 3-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში. დაწინაურებულთა სამეულში იყვნენ სვეტლანა კონდრაშოვა, ანა ობოროონა (ორივე — პროფკავშირები I) და თბილისელი ნანა ნებიერიძე.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა მსოფლიო პირველობათა საზონათშორისო ტურნირები.

ᲔᲠᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲪ და, ტუზლაში (იუგოსლავია) დამთავრდება ქალთა შეჯიბრება. მეთექვსმეტე ტურში ნანა იოსელიანმა ყაიმით დასრულა შეხვედრა უნგრელ მარია ივანკა-ბუდინსკისთან. ქეთევან არახამიამ ამ ტურში დაამარცხა მარია პეტროვიჩი (იუგოსლავია). ბოლო ტურის წინ ნანა იოსელიანს 12,5 ქულა აქვს, პოლონელ აგნეშკა ბრუსტმანს — 11,5, ქეთევან არახამიას — 11, ლიდია სემიონოვას — 10,5 (1 გადადებული), გულნარა სახატოვას — 10 ქულა და ა. შ. სწორედ ბოლო ტურში უნდა გაირკვეს, ნანა იოსელიანის გარდა პრეტენდენტთა შეჯიბრების კიდევ 2 საგზურს ვინ დაეუფლება.

ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘᲗ ქალაქ სირაკუზში მოსპარეზე ვაჟებმა გაითამაშეს მეოთხმეტე ტურის პარტიები. საბჭოთა მოჭადრაკეთაგან ამ ტურში ვალერი სალო